გულნაზ
ერქომაიშვილი

# რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა

## ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა

# რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა

## ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა

**GULNAZ ERKOMAISHVILI**

# RATIONAL ECONOMIC POLICY

## Driving force from business to social entrepreneurship

Publishing House **“UNIVERSAL”**
Tbilisi 2019

გულნაზ ერქომაიშვილი

# რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა

## ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი 2019

The paper sets out economic policy of entrepreneurship development in Georgia, facing modern challenges; Economic policy supporting rational decision making of the start-up entrepreneurs in Georgia; Economic policy of attracting and using a foreign direct investments in Georgia; Economic Policy of achieving national competitive advantages in Georgia; Social Responsibility – Nesseccary prerequisite for the social entrepreneurship development; Social Responsibility – The basis of the modern approach to entrepreneurship; Features and opportunities of social entrepreneurship in Georgia.

It is developed for the students of higher education institutions specialized in Economics and Business and for the wide range readers in this field.

**Editor** **Revaz Gvelesiani**
Professor of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

**Reviewers:** **Murman Kvratckelia**
Professor of Sokhumi State University

**Natela Twiklashvili**
Professor of Batumi State University

Published by the Publishing Board of the Economics and Business Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

© G. Erkomaishvili, 2019

Publishing House “UNIVERSAL”, 2019

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-458-0

ნაშრომში გადმოცემულია მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე; დამწყებ მეწარმეთა ეკონომიკურად რაციონალური ქცევის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში; ეროვნული კონკურენტული უპირატესობების მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა; სოციალური პასუხისმგებლობა - სოციალური მეწარმეობის განვითარების აუცილებელი წანამძღვარი; სოციალური პასუხისმგებლობა - მეწარმეობისადმი ახლებური მიდგომის საფუძველი; სოციალური მეწარმეობის თავისებურებები და მისი განხორციელების შესაძლებლობები საქართველოში.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი** **რევაზ გველესიანი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**რეცენზენტები:** **მურმან კვარაცხელია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ნათელა წიკლაშვილი**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© გ. ერქომაიშვილი, 2019

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-458-0

***Social Entrepreneurship is as important for society development as entrepreneurship for the development of economy***

***Roger Martin / Sally Ausburg***

*სოციალური მეწარმეობა ისეთივე მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც მეწარმეობა ეკონომიკის განვითარებისათვის*

*როჯერ მარტინი/სალი ოსბურგი*

# CONTENT

**Introduction ........................................................................11**

**Chapter I. Economic policy of the entrepreneurship development in Georgia, facing modern challenges .......15**

1.1. Economic policy supporting economically rational decision making of the start-up entrepreneurs in Georgia ........................................................................38

1.2. Economic policy of attracting and using foreign direct investments in Georgia ........................................................77

**Chapter II. Economic Policy of achieving national competitive advantages in Georgia**..................................89

**Chapter III. Social Responsibility – Nesseccary prerequisite for the social entrepreneurship development ..................110**

3.1. Social Responsibility – The basis of the modern approach to entrepreneurship..........................................................110

3.2. Features and opportunities of the social entrepreneurship in Georgia ........................................................................122

Bibliography ........................................................................151

Rational economic policy - Driving Force from Business to Social Entrepreneurship (Summary in English) ................ 159

## შინაარსი

**შესავალი** ........................................................................ 11

**თავი I. მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე** .... 15

1.1. დამწყებ მეწარმეთა ეკონომიკურად რაციონალური ქცევის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში ........... 38

1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში .................................... 77

**თავი II. ეროვნული კონკურენტული უპირატესობების მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში** ............................................................ 89

**თავი III. სოციალური პასუხისმგებლობა – სოციალური მეწარმეობის განვითარების აუცილებელი წანამძღვარი** ....................................... 110

3.1. სოციალური პასუხისმგებლობა - მეწარმეობისადმი ახლებური მიდგომის საფუძველი ............. 110

3.2. სოციალური მეწარმეობის თავისებურებები და მისი განხორციელების შესაძლებლობები საქართველოში ...................................................... 122

**გამოყენებული ლიტერატურა** ........................................... 151

**რეზიუმე ინგლისურ ენაზე** ................................................ 159

# შესავალი

მეწარმეობის განვითარება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მეწარმეთა ფენის და კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურების ფორმირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რამდენადაც, მეწარმეობის განვითარება ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტიაა. საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, შესაბამისად, აუცილებელია რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც გულისხმობს, დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, არსებული საშუალებები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელია. მას მართავს მხოლოდ ბაზარი და კანონი. მეწარმე იკმაყოფილებს არა მარტო ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, არამედ იგი გარდამქმნელად მოქმედებს ეკონომიკური ცხოვრების პირობებზე და ცდილობს ეს უკანასკნელი ისეთნაირად წარმართოს, რომელშიც მას ახალი მოთხოვნები და ინტერესები გაუჩნდება. ამგვარად, მეწარმე ისწრაფვის რა პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, ამავე დროს ახდენს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც.

საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვი-

თარების გარანტის „საშუალო ფენის“ წარმოქმნას. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საქართველოში დღითიდღე პოპულარული ხდება ტერმინი სტარტაპი. სტარტაპად ხშირად მოიაზრებენ დამწყებ მეწარმეებს. დამწყები მეწარმეები ის ეკონომიკური სუბიექტებია, რომლებიც აყალიბებენ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსაც კი. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მათი წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში ძალიან დიდია. სტარტაპ კომპანიები ცდილობენ ისეთი პროდუქტის შექმნას, რომლის ანალოგიც ან ბაზარზე საერთოდ არ არის, ან გვთავაზობენ არსებულ პროდუქტს სხვა გზით. სტარტაპ კომპანიები ემსახურებიან პროგრესს, რადგან ქმნიან რაღაც ახალს.

სტარტაპებს გააჩნიათ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ფუნქცია. ეკონომიკური კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ინოვაციური პოტენციალი, ამიტომ, რიგ ქვეყნებს გააჩნიათ ინოვაციური პოლიტიკა, რაც გულისხმობს ცენტრების, ხშირად ინკუბატორების დაარსებას. ისინი ხელს უწყობენ მცირე და საშუალო მეწარმეობას, ქმნიან პირობებს კონკურენტუნარიანი ფირმების ფუნქციონირებისათვის, ვენჩურულ კაპიტალის ფონდებს, გასწევენ საკონსულტაციო მომსახურებებს და სხვ.

რაც შეეხება სტარტაპების სოციალურ როლს, მეწარმეების ფენის არსებობა ქვეყანაში ამაღლებს სოციალურ ფონს. ჩნდება მეტი მოთხოვნა განათლებაზე. მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სულ უფრო პოპულარული ხდება სოციალური მეწარმეობა. დღეისათვის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სულ უფრო მეტად აძლიერებს ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ გადასვლის ტენდენციას. სოციალური მეწარმეობის იდეა მსოფლიო მასშტაბით მკვიდრდება. წინა პლანზე წამოიწია ბიზნესის სოციალურმა პასუხისმგებლობამ, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს. სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიები ცდილობენ თავის საქმიანობაში სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები გაითვალისწინონ და საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემაზე. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ბიზნესმეწარმეებმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი

ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის კორპორაციული სოცია-ლური პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს სწორედ ის მძლავრი ბერკეტი, რომელიც შეძლებს ქვეყნის აღორძინება-სა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას.

# თავი I

## მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. იგი წარმოშობს ახალ კომპანიებსა და სამუშაო ადგილებს, აყალიბებს ახალ ბაზრებს, ქმნის ახალ შესაძლებლობებს და უნარებს, ხდის ეკონომიკას უფრო კონკურენტულს და ინოვაციურს. ახალი იდეების კომერციალიზაცია აუმჯობესებს მწარმოებლურობას და ამდენად იგი ეკონომიკური ზრდის საფუძველია.

მეწარმემ, სანამ საქმიანობას დაიწყებდეს, პირველ რიგში უნდა შეისწავლოს ბაზარი. აღნიშნულს განაპირობებს: ბაზრის გლობალიზაცია, კონკურენციის გამწვავება, გარემოში ცვლილებების ზრდა, მომხმარებლის დომინირება ბაზარზე. ამასთან, მეწარმეთა საქმიანობა დამყარებული უნდა იყოს კეთილსინდისიერ კონკურენციაზე და არ უნდა ხდებოდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ახალი კონკურენტების გამოჩენა მეწარმეებს აიძულებს შეიმუშაონ ინოვაციური სტრატეგია, მუდმივად ეცადონ სიახლეებისაკენ სწრაფვას. კონკურენციის პოლიტიკით ზოგადად ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკურ თავისუფლებას: მეწარმეთა საქმიანობის თავისუფლება, პროფესიისა და სამუშაო ადგილების არჩევის თავისუფლება, სამომხმარებლო საქონლის ყიდვის თავისუფლება და ა.შ.

რამ შეიძლება მეწარმეს მისცეს კონკურენტული უპირატესობა სხვა მეწარმესთან შედარებით? ეს შეიძლება იყოს სამეწარმეო უნარი, გარემო, მიკროდონეზე ეფექტიანობა, მოთხოვნის სტრუქტურა და ა.შ. საყოველთაოდ აღიარებუ-

ლი შეხედულების თანახმად ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი სტიმულირების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას კონკურენტული გარემოს ფორმირება და ამ გზით სამეწარმეო სფეროს ხელშეწყობა წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად ქვეყანაში კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირება წარმოადგენს. საქართველოში კონკურენტული სამეწარმეო გარემოს შექმნა-ფუნქციონირების ვალდებულება ქვეყნის ხელისუფლებას საქართველოს კონსტიტუციით აქვს დაკისრებული.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, მეწარმეობის განვითარებაში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, დაიცვას კონკრეტული დარგები და შეზღუდოს იმპორტი. ზოგიერთის აზრით, კი საკმარისია მხოლოდ ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება. ჩვენი აზრით, საჭიროა ერთიც და მეორეც. აუცილებელია სახელმწიფომ მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის მაკროგარემოს ჩამოყალიბებაში, აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვა, კონკურენტული გარემოს ფორმირება და შესაბამისი მექანიზმებით მისი დაცვა. თუმცა ეს არ უნდა იყოს პროტექციონიზმი, საჭიროა საბაზრო კონიუნქტურის მუდმივი გაუმჯობესება. სახელმწიფომ მეწარმეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, რომ ორიენტირებულნი იყვნენ თავისუფალ ვაჭრობასა და მსოფლიო ბაზარზე. ასევე, ხელსაყრელი გარემო უნდა შეიქმნას ქვეყანაში შიდა ინვესტიციების სტიმულირებისათვის და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

2014 წლის დიდი ოცეულის შეხვედრის ბოლო კომუნიკე მიეძღვნა ეკონომიკურ ზრდას, რომელიც შეეხებოდა კონკურენციის, მეწარმეობის და ინოვაციების განვითარებისა და ხელშეწყობის საკითხებს. ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია უმუშევრობის შემცირების სტრატეგიები, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად,

სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ ახალგაზრდებში სამეწარმეო უნარების განსავითარებლად, რაც ამავდროულად დიდადაა დამოკიდებული საგანმანათლებლო სისტემაზე.

მთავრობებისათვის ამ მიმართებით მრავალი რეკომენდაციები არსებობს. აღმოსავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის ეკონომისტი ტ. მაზაროლის რეკომენდაციები ასეთია [65]: სამეწარმეო საქმიანობა სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა გახდეს; უნდა დავრწმუნდეთ, რომ სამთავრობო პოლიტიკა ფართოა და გარემო სისტემის ყველა კომპონენტს მოიცავს; გასაქანი მივცეთ ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ზრდას და არ ვეცადოთ ახალი ინდუსტრიების ხელოვნურად ჩამოყალიბებას; სამთავრობო პოლიტიკა მორგებული უნდა იყოს ყველა ინდუსტრიაზე, არა მხოლოდ მაღალტექნოლოგიურ სფეროზე; სახელმწიფო უნდა იყოს ლიდერი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გატარების დროს, თუმცა უნდა მოხდეს პასუხისმგებლობების და საკუთრების დელეგირება; შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ბიზნესის განვითარებისაკენ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველაფერი უნდა გაკეთდეს კონკურენციის დაცვისათვის, ყველგან, სადაც კონკურენციას თავისი ფუნქციების შესრულებაში საფრთხე ემუქრება. უმნიშვნელოვანესია კონკურენციის პოლიტიკის ხელშეწყობა, რადგანაც სწორედ მაღალი კონკურენციის პირობებში ცდილობენ კომპანიები დანერგონ ინოვაციები, რაც ანვითარებს როგორც ეკონომიკის ცალკეულ სექტორს, ისე მთელ ეკონომიკას. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ეკონომიკის სწრაფი ზრდის შესაძლებლობას. კონკურენციის არარსებობის შემთხვევაში კომპანიებს არ აქვთ მოტივაცია დანერგონ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია, შეამცირონ ფასები და ა.შ.

თუმცა, კონკურენციული პოლიტიკის განსახორციელებლად და მისი საშუალებით უპირატესობების მოსაპოვებლად უმნიშვნელოვანესია მისი დაცვა, ანუ რეგულირება. იგულისხმება ისეთი დარღვევების თავიდან აცილება, როგორებიცაა: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაციების წინასწარი პრევენცია, ასევე იმ ტიპის სახელმწიფო დახმარებების თავიდან აცილება, რომელიც ეწინააღმდეგება კონკურენციის სამართალს. საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს კანონდასჯად ქმედებას და შესაბამისად, დაუშვებელია. საქართველოს კანონით კონკურენციის შესახებ, დომინირებული მდგომარეობა განიმარტება, როგორც: შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტების და საბოლოოდ, მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. ასევე, თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებულ მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება აფერხებს და ასუსტებს კონკურენციულ პოლიტიკას. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არსებობის დროს შეუძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან სწორედ თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. სწორედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად

გამოყენება აფერხებს ფასების შემცირებას და ინოვაციების დანერგვას.

თუ არ მოხერხდება, რომ არსებული საწარმოები დავუქვემდებაროთ ინტენსიურ კონკურენციას, მაშინ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნად ბაზრებზე გაბატონებული საწარმოების, კონკურენციის საწინააღმდეგო საქმიანობის და საერთოდ, საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვის მექანიზმი უნდა ამოქმედდეს. ამით უნდა შეიზღუდოს ეკონომიკური ძალაუფლების პოლიტიკური გავლენის საშუალებად გამოყენება.

„ლიდერი საწარმოები“ ძლიერი და მკაცრი კონკურენტები არიან. მათი კონკურენციის სტრატეგია ორიენტირებულია უფრო დიფერენცირებაზე, ვიდრე ხარჯების მხრივ უპირატესობაზე. მცირე და საშუალო საწარმოები თავიანთ საქონელსა და მომსახურებას შესანიშნავად უხამებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და ასე ქმნიან კონკურენციის უპირატესობებს ნაწარმისა და სერვისის ხარისხით. თუმცა „ლიდერ საწარმოებს“ უფრო შესწევთ უნარი დაიცვან თავიანთი პოზიცია მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ჰორიზონტზე მაინც იკვეთება კონკურენციული საფრთხე, რადგან სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება მათი ბაზრის ნიშის დაცვა მასობრივი ბაზრისგან და მზარდი ხარჯების ზეწოლის თავიდან აცილება. აღარ არის საკმარისი, მომხმარებლებს საქონელი და მომსახურება კარგ ფასად შესთავაზო, არამედ გადამწყვეტია სულ მცირე საქონლისა და მომსახურების ერთ კომპონენტში და/ან ფასის მხრივ კონკურენტზე უკეთესი იყო. თუმცა, ეკონომიკის ინტეგრაციის პირობებში გლობალურმა კონკურენციამ განსაკუთრებული ნიშან-თვისებები გამოავლინა. კერძოდ, მაქსიმალური რაოდენობის კონკურენტული უპირატესობების ურთიერთშეხამება (ხარისხი, ფასი, სერვისი, დანახარჯების შემცი-

რება, ინოვაციები და ა.შ), ბაზრის განვითარების დინამიზმი, საბაზრო აგენტების მონაწილეთა დიდი კონკურენცია, ბაზარზე ახალი კონკურენტების შემოსვლისა და ძველ კონკურენტთა გასვლის უწყვეტი პროცესი და ა.შ.

საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვითარების გარანტის „საშუალო ფენის" წარმოქმნას. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია [39].

მცირე და საშუალო მეწარმეობის საზოგადოებრივი ფუნქცია ხშირად პოლიტიკოსების მიერ სახელმწიფო დახმარების მოთხოვნების დასასაბუთებლად გამოიყენება, ამიტომ სწორედ ამ სფეროშია მნიშვნელოვანი აღნიშნული სამეწარმეო პოლიტიკის განსაზღვრულ „საზომ" სიდიდეებზე ორიენტირება. ასეთ ინდიკატორად გამოიყენება დამოუკიდებელთა რიცხვი ანდა მათი კვოტა. ამ თვალსაზრისით, სასურველია, რაც შეიძლება ბევრმა ინდივიდმა აღიქვას ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება და, ამგვარად, თავისი

წვლილი შეიტანოს ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში (4, გვ.10).

დიდი და მცირე საწარმოების „ჯანსაღი“ შერწყმით მცირე და საშუალო საწარმოებმა შესაძლებელი უნდა გახადონ საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურის სწრაფი შესაბამისობა ბაზრის ცვლილებებთან. ამასთან, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა ეს ცვლილებები მომხმარებლის მხრიდან მომდინარეობს, თუ მიმწოდებლის მხრიდან [6, გვ.46].

საქართველოში 2017 წლამდე მოქმედი გრადაციით, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები დასაქმებულთა რაოდენობისა და საშუალო წლიური ბრუნვის მიხედვით შემდეგნაირი იყო:

• მცირე საწარმოებისათვის - 20 დასაქმებული და წლიური ბრუნვა 500 ათასი ლარი;

• საშუალო საწარმოებისათვის - 100 დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1 500 ათასი ლარი;

• მსხვილ საწარმოებს განეკუთვნებოდა საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 1500 ათას ლარს.

2017 წლიდან მოქმედებს საწარმოთა გრადაცია, რამაც შეცვალა წინა წლების დეფინიციები. კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება:

• მცირე საწარმოებისათვის - 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს;

• საშუალო საწარმოებისათვის - 250 დასაქმებულსა და 60 მლნ. ლარს;

• მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

ცხრილ №1-ში მოცემულია მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში და გამოშვებაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003-2015 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბრუნვაში წლების მიხედვით 15,6-დან 24%-მდე მერყეობს, ანალოგიური მაჩვენებელია გამოშვებაშიც 17,3-დან 20,6%. საწარმოების გრადაციის პარამეტრების ცვლილების შემდეგ 2016 -2017 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბრუნვაში 55,9 -55,1%-ია, ხოლო გამოშვებაში 58,4-59,1%.

2017 წლის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილ საწარმოებში დასაქმებულია მთლიანი დასაქმებულთა რაოდენობის 33%, საშუალოში – 20,5%, მცირეში – 46,5%, 2016 წელს თითქმის ანალოგიური მაჩვენებლები გვაქვს (32,6, 21,4, 46,0), მაშინ, როცა 2015 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა დასაქმებულთა 56,9%, საშუალოში - 16,1%, მცირეში - 27%.

**მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში და გამოშვებაში (%)**

ცხრილი № 1

| | 2003 | 2008 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა | 24 | 15,6 | 16,1 | 19,9 | 17,0 | 18,3 | 18,0 | 17,5 | 55,9 | 55,1 |
| გამოშვება | 20,6 | 17,3 | 18,4 | 19,8 | 19,0 | 19,2 | 19,8 | 19,6 | 58,4 | 59,1 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

როგორც მონაცემებიდან ჩანს, შედეგები აშკარად არაპროპორციული იყო. მონაცემების მკვეთრი სხვაობა სწორედ საწარმოების გრადაციის პარამეტრების ცვლილებით არის განპირობებული. მონაცემების არაპრორციულობა აშკარად მიუთითებს გრადაციის პარამეტრების გამსხვილების მართებულობას.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი სეგმენტია: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა; სოფლის მეურნეობა და სხვ. დასაქმების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში მცირე და საშუალო მეწარმეობა. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. მცირე ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 82%-ს. აქედან მხოლოდ 8-10% არის ორიენტირებული ბაზარზე გასაყიდად, დანარჩენი შინამეურნეობების შიდა მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. დიდი ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 10%-ს, რომელიც რეალიზდება ბაზარზე. ეს გარემოება ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად დაფუძნებულია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობაზე, რაც ხასიათდება დაბალეფექტიანობით და შესაბამისად, დაბალკონკურენტუნარიანიცაა.

მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით, საქართველოში საშუალო ფენა 7%-ს არ აღემატება, 32% - ღარიბი, 37% - ზომიერად ღარიბი, 24% - მოწყვლადი ჯგუფი. თუმცა განსხვავებულ შედეგს აჩვენებს საქართველოში ჩატარებული ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა (საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი),

რომლის მიხედვითაც საქართველოში 2017 წლის მონაცემებით, საშუალო კლასის რაოდენობა 25%-ზე მეტია.

პროფ. ს. არჩვაძის აზრით, არ არსებობს უნივერსალური მეთოდოლოგია ამ მაჩვენებლის შესაფასებლად, სხვადასხვა მეთოდოლოგია განსხვავებულ შედეგს იძლევა. კერძოდ, 1. თვითშეფასება, როცა ადამიანი თვითონ განსაზღვრავს და ასახელებს იმ ფენას, რომელსაც მიეკუთვნება; 2. დაყოფა სოციალური სტანდარტის მიხედვით, როდესაც ადამიანი ამა თუ იმ კონკრეტულ ფენას მიეკუთვნება, მაგალითად, დამლაგებელი - დაბალ ფენას, მსახიობი - საშუალო და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო რთულია საშუალო ფენის ზუსტი განსაზღვრა. „საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა, სახეზეა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის შემოსავლებისა და დაგროვების ასიმეტრიული განაწილება, ანუ გვყავს მოქალაქეები, რომლებსაც შემოსავლები აქვთ, მაგრამ არ აქვთ დაგროვილი ქონება, მაგალითად იძულებით გადაადგილებული პირები, არის საპირისპირო შემთხვევებიც, ამიტომ რა კრიტერიუმით მივუდგებით კვლევას ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შედეგს“ [76].

პროფ. ნ. ჭითანავას აზრით, საკმარისი არ აღმოჩნდა საშუალო ფენის შექმნის მხოლოდ აუცილებლობის გაცნობიერება, არც საკანონმდებლო ორგანიზაციულ-ეკონომიკური ზოგადი ღონისძიებების ცალმხრივად განხორციელება. მიზეზი, თუ რატომ ვერ ახერხებს საშუალო ფენა განვითარებას ბევრია. მათ შორის, ერთ-ერთი ისაა, რომ მდიდართა ჯგუფი, მსხვილი საწარმოები, თავისი მასშტაბებითა და სფეროს მოცვით, ზეწოლას ახდენს მცირე მეწარმეებზე, უსპობს მათ განვითარების შანსს. ამას გარდა, არადიფერენცირებული მაღალი გადასახადები და მკაცრი ადმინისტრირება

მძიმე ტვირთად აწვება მცირე მეწარმეებს, მათ, ვისაც საშუალო მოგება აქვს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როცა საშუალო ფენა სუსტია, საზოგადოებაში არასტაბილურობის რისკი იზრდება. საშუალო ფენა ის „ფილტრია", რომელიც არეგულირებს მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და ორივე ფენისთვის ორიენტირსაც წარმოადგენს... საშუალო ფენის ასეთი როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში, როცა საქართველოში სოციალური პოლარიზაციის ფონზე საზოგადოებაში ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა „ახალი მდიდრებისა" და „ახალი ღარიბების" პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადადის [48,გვ.106].

საქართველოში მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში არსებული ურთიერთობები. კერძოდ, 1999 წლის 23 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა" მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი". ამ ცენტრის არსებობა რეალურად ხელს ვერ შეუწყობდა მცირე მეწარმეობის განვითარებას იმდენად, რომ თვით ამ ცენტრის დაფინანსებისათვის ბიუჯეტში მიზერული თანხა იყო გამოყოფილი. 2000 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად წარედგინა „მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია", სადაც ხაზგასმული იყო, რომ უნდა შექმნილიყო ხელსაყრელი გარემო მცირე სტრუქტურებისათვის. სამწუხაროდ, სამეწარმეო გარემოში ძირითადი უპირატე-

სობა და განსხვავება მხოლოდ საგადასახადო რეჟიმში გამოიხატებოდა. ამ კონცეფციის მიხედვით, მცირე საწარმოს ექმნება ხელსაყრელი და საგრძნობლად განსხვავებული საგადასახადო პირობები. მცირე ბიზნესი უნდა იღებდეს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებებს, შეღავათიან კრედიტებს, სუბსიდიებს, გარდა ამისა, მცირე მეწარმეს საშუალება უნდა ჰქონდეს ადვილად მიუწვდეს ხელი სხვადასხვა რესურსებზე. 2002 წელს მიღებული იქნა კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ", თუმცა ვერც ამ კანონმა შეასრულა არსებითი როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში. 2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ", რომლითაც დადგინდა განმარტება მცირე ზომის საწარმოთათვის. კერძოდ, მცირე საწარმო - „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოა, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს, ხოლო წლიური ბრუნვა – 500 ათას ლარს. თუმცა აღნიშნულ განმარტებას არ მოყოლია რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე საწარმოების ხელშეწყობის მიზნით.

2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის მიხედვით, საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად იქნა აღიარებული. 2005 წლიდან დაწყებული ხელისუფლებამ რადიკალურად გააუმჯობესა საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, ახალი სამეწარმეო კანონების შემოღებით კი გაამარტივა სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება. რეფორმები ძირითადად შეეხო საწარმოთა რეგისტრა-

ციის გამარტივებას. აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეგულირების ზედმეტი ხარჯების შემცირებაზე. ბიზნესის დაწყებისათვის ხარჯები და რეგისტრაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 10-ჯერ შემცირდა მოთხოვნა მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე. ბიზნესის რეგისტრაციის დელეგირება სასამართლოებიდან და ნოტარიუსიდან მოხდა საგადასახადო დეპარტამენტზე და შეიქმნა ვაჭრობის, გადასახადებისა და დასაქმების „ერთი სარკმლის" პრინციპით რეგისტრაციის პირობები. 2005 წელს ამოქმედდა ლიცენზირების ახალი კანონი, რომელმაც 150 ლიცენზია და ნებართვა დატოვა, ნაცვლად ადრე არსებული 950-სა, რაც იყო ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებისაკენ წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საგრძნობლად შემცირდა ლიცენზირების პროცედურა და მისი გაცემის ვადაც.

ამ და სხვა ინსტიტუციურმა რეფორმებმა შეზღუდა ბიზნესში ხელისუფლების ჩარევა, ბიუროკრატიზმი და კორუფცია. ამან შეამცირა ტრანსაქციული ხარჯები და საქართველო გახდა ბიზნესში ერთ-ერთი წარმატებული რეფორმატორი ქვეყანა. მეწარმეებს გაუმარტივდათ ბაზარზე შესვლის ინსტიტუციური პირობები. ყოველივე ამის შედეგად 2005-2008 წლებში მკვეთრად გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, რადგან გამარტივდა ბიზნესის დაწყება და შემცირდა დანახარჯები.

საქართველოს მომავალი განვითარების, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები მოცემულია შემდეგ ძირითად დოკუმენტებში - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020" (2014 წელი) და სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" (2015 წელი). ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია ძლიერი კერძო სექტო-

რის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობა.

2014 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი პრიორიტეტებია:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირების და მხარდაჭერისათვის;
- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;
- ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების შესაბამისად გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმების მე-5 თავში - „სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკა და სამთომოპოვებითი მრეწველობა“. იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი განხორციელდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეგულარული დიალოგის ფარგლებში.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (საბაზისო - 2013 წელი):

- 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
- 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
- 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანები:

- ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
- მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები :

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება - მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს მთავარი ფუნქციებია: ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში; სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება; მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით; მეწარმეთა დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით; საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; ინოვაციების, თანამედროვე ტექ-

ნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმული-რება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყო-ბა; ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირე-ბის და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწ-ყობა; სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა; მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყო-ბა და ა.შ. სააგენტოს ფუნქციებს შორისაა: ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; თანამედრო-ვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერე-ბის ხელშეწყობა; ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტე-ბის მხარდაჭერა; საწარმოებისთვის კვლევისა და განვითა-რების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ.

მეწარმეობის განვითარებისა და ინოვაციების და ტექ-ნოლოგიების სააგენტოების ინსტიტუციური გაძლიერება მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროე-ბების დასაკმაყოფილებლად და მიზანმიმართული მომსახუ-რების გასაწევად. გამომდინარე იქედან, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიმართულე-ბა კომპანიებისთვის DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურის შესაძლებ-ლობების გაძლიერება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკით-ხებზე.

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარ-მეობის მხარდამჭერი რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა: პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. ამჟამად პალატას ჰყავს 1 007 წევრი, რომელთა 90% მცირე და საშუალო მეწარმეა. წევრობის გადასახადი მერყეობს 0-ლარიდან 10 ათას ლარამდე და დამოკიდებულია გაწეულ მომსახურებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები არ იხდიან წევრობის გადასახადს. პალატას აქვს ხუთი რეგიონული ოფისი.
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია: ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 1 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. ასოციაციის წევრობა ფასიანია და მერყეობს 600 აშშ დოლარიდან 2 000 აშშ დოლარამდე საწარმოს ზომიდან გამომდინარე.
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია: წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ადვოკატირება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა. ასოციაციას დღეისთვის 106 წევრი ჰყავს.

ბიზნესასოციაციებს ესაჭიროებათ შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის პოლიტიკასთან და DCFTA-ის მოთხოვნებთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობას ამ მოთხოვნებთან ადაპტაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც ასოციაციების მიერ მეწარმეებთან ურთიერთობის გაღრმავება, ასევე, თავად ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რათა მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული სერვისების ეფექტიანობის გაუმჯობესება.

მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის. ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ.

საქართველოში მეწარმეების დიდი ნაწილი დაინტერესებულია კვალიფიკაციის ამაღლებით, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის, მოლაპარაკებათა წარმართვის, კონტრაქტების შედგენისა და დადების, საწარმოთა ეფექტიანობის შეფასების შესწავლით. ეს უნდა გაითვალისწინოს შესაბამისმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და ჩამოაყალიბონ მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა: საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღა-

ვათიანი საბანკო კრედიტები, მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, ასევე კანონ-მდებლობის მიღება და მისი დაცვა. ფინანსური დახმარე-ბის ძირითადი წილი მოდის საკრედიტო დაწესებულებებ-ზე, საიდანაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობეს-და სესხის აღების პირობები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით.

მეწარმეობის განვითარების პოლიტიკა შეიძლება მოი-ცავდეს სხვადასხვა მიზანს: რისკების შემცირება; საგადასა-ხადო შეღავათები; ახალი ფირმების ფინანსური დახმარება; სამეწარმეო პოტენციალის ზრდა; კონკურენცია; ექსპორტის მხარდაჭერა და სხვ.

მეწარმეობის განვითარება ქვეყანაში შეუძლებელია ხელსაყრელი საგადასახადო პოლიტიკის არსებობის გარეშე. ეკონომიკაში გადასახადის ოპტიმალური მოცულობის, სწო-რი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების პრობლემა სა-ზოგადოების განვითარების კვალობაზე არა თუ მოიხსნა და შემსუბუქდა, არამედ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად გამწვავდა კიდეც.

ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს გადასახადების შემცი-რებასა და გარკვეულ შემთხვევაში საგადასახადო შეღავა-თების არსებობას. მეწარმის გათავისუფლება გადასახადე-ბისგან, შეიძლება ანტისტიმულიც კი იყოს და არ უბიძგოს მას ბიზნესის განვითარებისაკენ. თუმცა ეს მოსაზრებაც სა-ეჭვოა, რადგან მეწარმეობა რისკზე დაფუძნებული საქმია-ნობაა, რომელიც მრავალჯერადად ხორციელდება მოგების მისაღებად. სწორედ, ამიტომ ბიზნესის გადასახადებისაგან გათავისუფლება შეიძლება სულაც არ იყოს მისთვის მოდუ-ნების საშუალება.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე ნების-მიერი სახელმწიფოს პრობლემაა. ზოგჯერ, როგორც სპეცი-

ალურ, ასევე პუბლიცისტურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც ნაკლებია გადასახადები, მით მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპი.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში საგადასახადო სისტემისადმი უკმაყოფილება და მისი მძლავრი კრიტიკა უპირატესად გამოწვეულია გადასახადების სამართლიანობის დეფიციტით, რომ ისინი ხშირად არასამართლიანად არის მიჩნეული. ოპტიმალური საგადასახადო სისტემა გულისხმობს გადასახადით დაბეგვრის საყოველთაობას და მოქალაქეთა შორის გადასახადის განაწილების თანაბრობას მათი შემოსავლების მიხედვით.

ბოლო პერიოდის ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმად ითვლება საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა და გაამარტივა გადასახადები. ამის შედეგად შემცირდა მეწარმეების ფისკალური ტვირთი. დღეს 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. დღგ 20%-დან 18%-მდე შემცირდა. მოგების გადასახადი 2009 წლიდან 20%-დან 15%-მდე შემცირდა, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი 2009 წლიდან - 25%-დან 20%-მდე, ხოლო ქონების გადასახადი თვითშეფასებული ქონების 1%-ს შეადგენს.

საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე

დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები (ე.წ. კვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე. საექსპორტო პროცედურების შედარებით სიმარტივემ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობამ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო საქმიანობაში მონაწილეობის პირობები. ამის კარგი მაგალითია ღვინისა და თხილის წარმოება და მისი ევროკავშირის ბაზრებზე რეალიზაცია. ეს პროდუქტები ძირითადი საექსპორტო ნაწარმია, რომლის ნედლეულსაც დაახლოებით 20-მდე მცირე და საშუალო მეწარმე შეისყიდის ფერმერებისაგან, ევროკავშირთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი კი ხელს უწყობს მისი ღირებულების ზრდას. ამ პროდუქტების ძირითადი უპირატესობებია ევროკავშირის ბაზრებზე მათზე მოთხოვნის ზრდა, დაბალი ღირებულება და სხვ.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში გატარებული რეფორმები საკმარისი არ არის მეწარმეობის განვითარებისათვის.

მთავარ პრობლემებად მიიჩნევა:

- პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა;
- ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა;
- საგადასახადო სისტემის არასტაბილურობა და არარეგულირებადობა;
- საკრედიტო რესურსების ძნელად მისაწვდომობა;
- ინფლაცია;
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- მაღალი საგადასახადო განაკვეთები;

- ბუნდოვანება საგადასახადო კოდექსში;
- საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიების ნაკლებობა.

ჩატარებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა; დაზღვევის სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა;
- მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა (საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, განაკვეთების ოპტიმალური დონე);
- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა (საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ).;
- ინვესტორებისთვის სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათ საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს;
- მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და მისი რეალიზაცია.

## 1.1. დამწყებ მეწარმეთა ეკონომიკურად რაციონალური ქცევის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

დამწყები მეწარმეები ის ეკონომიკური სუბიექტებია, რომლებიც აყალიბებენ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსაც კი. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მათი წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში ძალიან დიდია.

ტერმინი სტარტაპი საქართველოში დღითიდღე პოპულარული ხდება. სტარტაპები თანამედროვე სამყაროში დამწყებ მეწარმეებთან ასოცირდება, რომლებიც ოცნებობენ დიდზე და არიან ინოვატორები. საქართველოში სტარტაპად ხშირად მოიაზრებენ დამწყებ მეწარმეებს, რომელთა საქმიანობა ნაკლებად ინოვაციურია და ისინი სულაც არ ფიქრობენ დიდ კორპორაციად გადაქცევაზე. საქართველოს ეკონომიკას კი სწორედ ისეთი სტარტაპები სჭირდება, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკის ზრდას.

როგორც ცნობილია, ავსტრიელი ეკონომისტი ი. შუმპეტერი (1883-1950), მეწარმეობას განიხილავდა, როგორც ეკონომიკური განვითარების მექანიზმის ცენტრალურ ელემენტს. მისი აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველია მეწარმის განსაკუთრებული ფუნქცია, გამოიყენოს წარმოების ფაქტორთა „ახალი კომბინაცია“, რის შედეგადაც მიიღება სიახლე, ინოვაცია. იგი ახასიათებს ასეთი კომბინაციების შემდეგ ხუთ სახეობას: პირველი, ახალი სახეობის საქონლის დამზადება; მეორე, წარმოების ახალი მეთოდებისა და გასაღების ახალი ფორმების დანერგვა; მესამე, ახალი ბაზრების ათვისება; მეოთხე, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების აღმოჩენა; მეხუთე, რეორგანიზაციის ჩატარება. ი. შუმპეტერი მეწარმეებს „ეკონომიკის

რევოლუციონერებს“ უწოდებს, მისი გავლენით ეკონომიკურ თეორიაში სამეწარმეო უნარი სპეციფიკურ რესურსად, წარმოების მეოთხე ფაქტორად იქნა აღიარებული.

ძალზედ საინტერესოა გერმანელი მეცნიერისა და მეწარმის გიუნტერ ფალტინის [46, გვ. 106] ახლებური ხედვა ბიზნესის კომპონენტებით დაფუძნებასთან დაკავშირებით. დღევანდელ დღეს რთულია, რაიმე ორიგინალური მოიფიქრო და ამავდროულად ეცადო ყველანაირი საწარმოო პროცესის საკუთარ თავზე აღებას, ეს ყველაფერი კი მოახდინო გათვლილი და დაბალი რიკების ხარჯზე. სწორედ, ამიტომ მოგვიწოდებს გერმანელი მეწარმე დავივიწყოთ ბიზნესის ტრადიციული გაგება, რესურსებზე დამოკიდებულება და ყველაფერს შევხედოთ ახლებურად. ნებისმიერს, ვისაც სამეწარმეო საქმიანობის სურვილი აქვს შეუძლია არსებული ბიზნეს კომპონენტებისაგან შექმნას სრულიად ახალი მოდელი, რომელიც ტრადიციულთან შედარებით სიმარტივითა და ეფექტიანობით გამოირჩევა.

გ. ფალტინი წიგნში „გონება ამარცხებს კაპიტალს“ გადმოცემულია როგორ შეიძლება დავიწყოთ ბიზნესი, ყოველგვარი გამოცდილებისა და შესაბამისი განათლების გარეშე. საჭიროა ამ საკითხს ახლებურად მივუდგეთ, რაც უფრო მეტ ადამიანს მისცემს საშუალებას აწარმოოს ბიზნესი. ხშირად წარმატებული მეწარმეები სულაც არ იგონებენ რაიმე ახალს, უბრალოდ ისინი იღებენ უკვე არსებულ კომპონენტებს და აწყობენ ახალი კომბინაციით. ამის შედეგად, კი იქმნება სიახლე. დღეს მეწარმე სვამს კითხვას, რა სიახლე შემიძლია შევქმნა არსებულისგან? ამ მოდელში საჭიროა განისაზღვროს კომპონენტთა გაერთიანება, სანდო, პროფესიონალი მიმწოდებლის პოვნა, კომპონენტების შეკრება, კოორდინაცია და კონტროლი.

კომპონენტებით დაარსებული საწარმოს დადებითი მხარეებია:

- თითქმის არანაირი ინვესტიცია არ არის საჭირო მეწარმის მხრიდან;
- თითქმის არ არის მუდმივი ხარჯები;
- ცვლადი ხარჯები მოდის მხოლოდ რეალურ გაყიდვებზე;
- ხარჯების დიდი დანაზოგი, ბაზარზე დამკვიდრებული კონკურენტებისაგან განსხვავებით;
- დაარსებიდანვე პროფესიონალური, მაღალეფექტიანი, ვირტუალური და გლობალური.

რომ შევადაროთ ახალი, კომპონენტებით დაარსებული საწარმო და ტრადიციული, დავინახავთ რომ, მათ შორის განსხვავებაა ფინანსური ხარჯების, რისკის და დამფუძნებლისთვის სამუშაოს კუთხით. დამფუძნებელი მუდმივად კონცეფციის გაუმჯობესებაზე უნდა ფიქრობდეს, ხოლო ფირმის მართვა პროფესიონალმა მენეჯერებმა უნდა ითაონ.

გ. ფალტინის აზრით, უნდა გადაიხედოს ტრადიციული სამუშაო სივრცეებიც, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ მხოლოდ იმ სივრცესა და ინვენტარს, რაც მათი მუშაობისთვის არის საჭირო: მაგიდა, სკამი, ინტერნეტი, პრინტერი თუ სხვა რამ. უნდა შეიქმნას საზიარო სივრცეები, სადაც ადამიანები ერთმანეთს იდეებს, აზრებსა და გამოცდილებას უზიარებენ. აქ იკრიბებიან სხვადასხვა პროფესიებისა და სფეროების წარმომადგენლები.

მორგებული სივრცე, სხვადასხვა ადამიანებთან კომუნიკაციის საშუალება და რესურსების გაზიარება განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის მსგავს დაწესებულებებს. ამით, აიხსნება ბოლო წლებში საზიარო სივრცეების რიცხვისა და მათი მომხმარებლების მზარდი რაოდენობა. 2016 წლის მონაცემებით, 2011 წლის შემდეგ საზიარო სივრცეების რიცხვი

700 პროცენტით გაიზარდა. საერთაშორისო დონეზე, დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი მუშაობს 7800 საზიარო სივრცეში, მომდევნო ორ წელიწადში მათი რიცხვის 37 ათასამდე გაზრდას პროგნოზირებენ [66].

როდესაც ფირმები ზრდის პროცესში გადადიან, მათ წინაშე დგება კრიზისის საფრთხე, რასაც მხოლოდ გამოცდილი, საკუთარი საქმის პროფესიონალები გადაწყვეტენ. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ფალტინის ამ აზრს. მართლაც, კომპონენტებით დაფუძნებულ ბიზნესს ეს უპირატესობა აქვს. ყველა სიტუაციაში, პროცესში საქმეში ერთვება პროფესიონალები. ხოლო როდესაც ბიზნესს იწყებს გამოუცდელი მეწარმე, წარუმატებლობის შანსი ბევრად დიდია.

მთავარია ტრადიციებისაგან დისტანცირება, ბიზნესის ფენომენის ახლებური განხილვა. დღემდე ყოველთვის ყურადღება გამახვილებული იყო რესურსებზე. რა რაოდენობის კაპიტალი ქონდა კომპანიას? რა საწარმოო მანქანა დანადგარებსა და აღჭურვილობას ფლობდა ის? ტერმინი ადამიანი-კაპიტალი მიუთითებს, რამდენად იყო კაპიტალი ანალიზის საწყისი წერტილი. ადამიანიც კი განიხილებოდა, როგორც რესურსი-წერს ფალტინი და აღნიშნავს, რომ ეს არის ფირმის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა. თუმცა იმასაც ამბობს, რომ დღეს უკვე ბალანსმა გადაინაცვლა და შესაძლებელია ბიზნესი ტრადიციული რესურსების გარეშე დაიწყოთ. ახლა მნიშვნელოვანია იდეათა ჯამი და მათი რეალიზაცია.

წარსულში მასშტაბით განპირობებული ეკონომიით გამოხატული კომპანიის ზომა გადამწყვეტი უპირატესობა იყო. დღეს, კი მსხვილი კომპანიების მდგომარეობა ერთ დღეში მძიმდება. რადგან ისინი მეტისმეტად ეყრდნობიან საკუთარ რესურსებს. ამიტომ რესურსებთან ერთად, საჭიროა იდეაზე დაფუძნებული სამეწარმეო ხედვა.

სამეწარმეო საქმიანობის კომპონენტებით დაწყების მოდელი გულისხმობს: უნდა გავთავისუფლდეთ ყველანაირი ტრადიციული შეხედულებებისგან, ვიაზროვნოთ ახლებურად და ვეცადოთ ახალი კომბინაციების აწყობას. ფალტინი საინტერესოდ ადარებს კომპოზიტორს მეწარმეს. მეწარმეც ერთგვარი ხელოვანია, რომელმაც იცის როგორ დაუკავშიროს არსებული კომპონენტები ერთმანეთს, რომ საბოლოოდ ორიგინალური ნაწარმოები, ბიზნეს იდეა მიიღოს.

ცნობილი გერმანელი მეწარმე სამეწარმეო პროექტის შემუშავებაში გამოყოფს 7 მეთოდს:

1. აღმოაჩინე პოტენციალი უკვე არსებულში. წარმატებული სამეწარმეო პროექტი ხშირად ინოვაციურია, რაღაც ახლის შექმნის გარეშე. ინოვაცია მდგომარეობს რეკომბინაციაში. როგორც შუმპეტერმა დახატა განსხვავება ინოვაციასა და გამოგონებას შორის. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად, უამრავი დრო მიაქვს დიდი გამოგონებების ბაზრებისათის მომზადების პროცესს. არც მათი მნიშვნელობის წარდგენის პროცესი არის მარტივი.

2. ფუნქცია და არა ტრადიცია. მეწარმეებს შესწევთ უნარი გათავისუფლდნენ ტრადიციებისგან. ეს ნიშნავს, რომ არსებობს წარმატების პირობა, თუ ყველაფერს, რასაც თავის ადგილზე ვიპოვი, განვიხილავ, როგორც ტრადიციას, სულ მცირე მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. მე უშიშრად გამოვიკვლევ პროცესებს და ვკითხავ საკუთარ თავს: ის, რაც გონივრულად მიიჩნეოდა წარსულში, შეიძლება ორგანიზებულ იქნეს უფრო ადვილად თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. მე არ ვჩერდები მომსახურების ან პროდუქციის ოდნავ გაიაფებაზე, გაუმჯობესებაზე, უფრო ქმედითად ან მეგობრულად გახდომაზე, არამედ ვუპირისპირდები მთლიან პროცესს, ანუ, ვიწყებ ფუნდამენტურ გადახედვას, როგორ შეიძლება არსებულ პირობებში ფუნქციე-

ბის ორგანიზება. ფუნქცია და არა ტრადიცია, არ მოითხოვს დიდ ცოდნას, საკმარისია მხოლოდ სკურპულოზური აზროვნება და ობიექტური ინდეფერენტულობა წარსულის მიმართ.

3. არსებულის ახლებურად კომბინირება. ნაცნობი კომბინაციებით მიიღებ უფრო ეფექტიან შედეგს, უფრო იაფად. აქ მთავარია სისტემური ფიქრი.

4. ერთზე მეტი ფუნქციის შესრულება. თანამედროვე საზოგადოებებში, რომლებსაც ახასიათებს შრომის დანაწილება, უფრო მეტი ფუნქციაა განცალკევებული ერთმანეთისაგან. შედეგად კი მოსდევს იზოლაცია და მარტოობის შეგრძნება საზოგადოებაში. უნარს ისარგებლო ერთზე მეტი დანიშნულებით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური უპირატესობები აქვს. რეინტეგრაციას მოაქვს არა მხოლოდ ეკონომიკური უპირატესობები, არამედ ის ასრულებს დადებით სოციალურ ფუნქციას. იგი ზღუდავს იზოლაციას, აერთიანებს ხალხს, რომელთაც სხვა შემთხვევაში, ნაკლები საერთო ექნებოდათ.

5. პრობლემების, როგორც შესაძლებლობების დანახვა. პრობლემები მათი გადაჭრის გზების, იდეების განვითარების არაჩვეულებრივი სატყუარაა. დამწყებთათვის: როდესაც უმეტესობა შეწუხებულია იმით, რომ წვიმას იწყებს, მეწარმე ამბობს: ახლა საუკეთესო დროა ქოლგების გასაყიდად. უფრო განვითარებულთათვის: როდესაც ბერლინის კედელი დაეცა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ჩვენ „კედლის კოდალებს“ ვეძახით. ისინი ცდილობდნენ, შეექმნათ სუვენირები ბეტონისაგან. ჩაქუჩების უმეტესობა ამ ამოცანას ვერ უმკლავდებოდა. სინამდვილეში რა გჭირდებოდათ? საჭრისი, ამიტომაც შეგეძლოთ დიდი რაოდენობის საჭრისი დაგემზადებინათ გასაყიდად. ეს ისაა, რაც მეწარმეს და ტრადიციულ ეკონომისტს განასხვავებს, მეწარმე აღიარებს პოტენციალს მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ჯდება ტრადიციულ ეკონომიკურ პარადიგმაში.

6. საქმის მხიარულებად და გასართობად გადაქცევა. წარმოიდგინეთ ლუდხანა, სადაც სტუმრები თვითონ ისხამენ ლუდს, ან დასვენება ფერმაში, სადაც ვიზიტორებს შეუძლია ძროხის მოწველა. ფერმერის ცოლისთვის, რომელიც დღეში უამრავ ძროხას წველის, ეს დიდი სამუშაოა, თუმცა ვიზიტორისთვის ეს დიდი თავგადასავალია.

7. ბიზნესოცნებების რეალობად ქცევა. სამწუხაროდ, ყველა მეოცნებეს არ უწერია ცხოვრების განმავლობაში საკუთარი იდეების წარმატებულ კომპანიად გადაქცევა. თუმცა ზოგს უმართლებს. მაგალითად, ჰენრი ფორდი, რომელმაც 18 წელი იმუშავა საკუთარ იდეაზე და საბოლოოდ წარმატებასაც მიაღწია.

რაც შეეხება სახელმწიფოს, მან დამწყებ მეწარმეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, რომ ორინეტირებულნი იყვნენ თავისუფალ ვაჭრობასა და მსოფლიო ბაზარზე. ასევე, ხელსაყრელი გარემო უნდა შეიქმნას ქვეყანაში შიდა ინვესტიციების სტიმულირებისათვის და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში არსებული ინფლაციური პროცესები და მონეტარული სტაბილურობა. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, რომელიც შესაძლოა კონსტიტუციითაც კი იყოს დაცული (ლ.ბალცეროვიჩი).

რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას, ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს გადასახადების შემცირებასა და გარკვეულ შემთხვევაში საგადასახადო შეღავათების არსებობას. თუმცა მეწარმის სრულიად გათავისუფლება გადასახადებისგან, შეიძლება ანტისტიმულიც კი გახდეს და არ უბიძგოს მას ბიზნესის განვითარებისაკენ სწრაფვისკენ. თუმცა ეს მოსაზრებაც საეჭვოა, რადგან ბიზნესი და მეწარმეობა, რისკზე დაფუძნებული საქმიანობაა, რომელიც მრავალჯერადად ხორციელდება მოგების მისაღებად. სწორედ, ამიტომ ბიზნე-

სის გადასახადებისაგან გათავისუფლება შეიძლება სულაც არ იყოს მისთვის მოდუნების საშუალება.

ქვეყნის სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალის გასაზრდელად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფერო. დღეს, განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ში საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს ხარჯები განათლებასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ საქმიანობაზე. ისინი სწორად საზღვრავენ ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობას როგორც საკუთარი ქვეყნისათვის, ასევე მსოფლიოსათვის.

ასევე უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. მშვიდობა ქვეყანაში მნიშვნელოვანია, როგორც შიდა, ისე უცხოელი ინვესტორისათვის.

სახელმწიფოს შეუძლია დამწყებ მეწარმეებს დაეხმაროს საკონსულტაციო მომსახურებით. იქნება ეს ბიზნეს გეგმის შედგენის დროს დახმარება, იურიდიულ თუ საგადასახადო საკითხებში გარკვევა, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თუ სხვა რამ. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა ბიზნეს საქმიანობაში, თუმცა ცდილობს წაიყვანოს ის სწორი კუთხით და დამწყებ მეწარმეებს დაეხმაროს სწორი მიმართულების არჩევაში. ხშირად, ჩანაფიქრი კარგია, მაგრამ მის განსახორციელებლად გამოცდილება საკმარისი არ არის.

საქართველოში დამწყებ მეწარმეთა დღეისათვის არსებული სამთავრობო პროგრამებიდან აღსანიშნავია: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ENPARD სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სააგენტო, სტარტაპ საქართველო.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და ასევე, არსებუ-

ლის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.მისი მიზანი ქართული საწარმოების მხარდაჭერა, მათი მოგების გაზრდა და კონკურენტუნარიანობის განვითარებაში მხარდაჭერაა. პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა, ტექნიკური დახმარება.

2015 წლიდან დაიწყო „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ ბიზნეს და ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და გაივლიან ტრენინგებს.

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ები - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა სპეციალური ვებგვერ-

დი (www.qartuli.ge). 2015 წელს, „აწარმოე საქართველოში“ დაემატა ორი ახალი მიმართულება: ა) სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ფრანჩაიზის ხარჯების დაფინანსებას და ბ) კინოინდუსტრიის ხელშეწყობა.

პროგრამა საკმაოდ პოპულარული გახდა. 2015 წლისთვის განხორციელდა 133 პროექტი, მოსალოდნელმა ჯამურმა ინვესტიციამ შეადგინა 355,6 მლნ ლარი და შეიქმნა 6759 ახალი სამუშაო ადგილი. EY Georgia-სთან თანამშრომლობით 20 კომპანიისთვის განხორციელდა ბიზნეს ადმინისტრირების მინი პროგრამა, ექსპორტის მენეჯერთა კურსი, სააგენტომ ხელი შეუწყო ქართული კომპანიების ჩართვას პროგრამაში „fir for Partnership with Germany” და სხვ. [31]. 2016 წლისთვის განხორციელებული ინვესტიცია წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 385 მლნ ლარი შეადგინა, გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც და 15 ათასს გადააჭარბა [32]. 2017 წლის შედეგებით კი განხორციელდა 323 პროექტი, მთლიანმა ინვესტიციამ შეადგინა 786 მლნ ლარი და შეიქმნა 13 ათასი ახალი სამუშაო ადგილი [33].

აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობა შესაძლებელია დადებითად შევაფასოთ, რადგან 3 წლის მანძილზე დაახლოებით 30 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქნა. თუმცა, პროგრამასაც გააჩნია რიგი ხარვეზები, მაგალითად, ბიუროკრატიის მაღალი დონე, რაც დაკავშირებულია სესხისა თუ სხვადასხვა სახის ნებართვის მიღებასთან, ბუნდოვანია რამდენად ხდება პროგრამის მონიტორინგის განხორციელება და ფასდება ეფექტიანობა.

თუმცა არა მხოლოდ, პროგრამის ხარვეზებია ხელის შემშლელი ფაქტორები მეწარმეთათვის. მაგალითად, 2016 წელს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ პროგრამის „აწარმოე საქართველოში" შეფასება და მონიტორინგი ჩაატარა. შეფასების მიხედვით, მეწარმეებმა გა-

მოყვეს შემდეგი აქტუალური პრობლემები:

- არასტაბილური ეკონომიკური გარემო. არაპროგნოზირებადი გაცვლითი კურსი;
- საკანონმდებლო ცვლილებები - განსაკუთრებით გადასახადების შემსუბუქების კუთხით;
- კვალიფიციური ტექნიკური პროფილის კადრების დეფიციტი. წამოჭრილი პრობლემები ისევ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე მიუთითებს და ნაკლებად უნდა გვქონდეს მხოლოდ ერთი სამთავრობო პროგრამით მათი აღმოფხვრის იმედი[41].

დამწყები მეწარმეობის განვითარებაზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ სოფლის მეურნეობის სექტორს. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020. იგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე ფერმერთა გაძლიერებითა და წარმოების ზრდის ხელშეწყობით. სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროკავშირის მთავარ პოლიტიკის ინსტრუმენტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) წარმოადგენს.

საქართველოში პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მის მიზანს სოფლად სიღარიბის შემცირება წარმოადგენს. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას, და ასევე ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება შემდეგ ძირითად საკითხებს ითვალისწინებს:

- სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება და მათი დახმარება სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში;

- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, გარემო პირობების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით.

2013-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მლნ ევროა [22].

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება, მცირე ფერმერთა თანამშრომლობის გაძლიერება, მცირე ფერმერების ქმედითუნარიანობის ამაღლება, სოფლად დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული შედეგებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი: შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია; გადამზადდა სოფლის მეურნეობაში ჩართული კადრები; საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 59 საკონსულტაციო ცენტრი; შეიქმნა 1600-ზე მეტი კოოპერატივი; შეიქმნა საერთაშორისო დონის ლაბორატორიები; მიღებულ იქნა კანონი კოოპერატივების შესახებ.

2016 წლის 22 ივნისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კანონით ინოვაციების შესახებ მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწ-

ყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანო ან სხვა პირი ქმნის შემდეგ ინფრასტრუქტურას:

ა) სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკს; ბ) ბიზნესინკუბატორს; გ) ბიზნესამაჩქარებელს; დ) ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს; ე) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიას (ILab); ვ) ინოვაციების ცენტრს; ზ) სხვა ინფრასტრუქტურას [42]. ამავე კანონით განისაზღვრება თითოეული მათგანი:

- სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინოვაციური საქმიანობის სხვა სუბიექტებისათვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას.
- ბიზნესინკუბატორის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისთვის სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული და სხვა ტექნიკური დახმარების გაწევა არაუმეტეს 2 წლის ვადით.
- ბიზნესამაჩქარებლის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისთვის სამუშაო სივრცის, მისი ბიზნესიდეის და მოდელის განვითარებისა და დახვეწის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კონკურსის პირობებით განსაზღვრული ინვესტირების განხორციელება.

- ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი უზრუნველყოფს ინოვაციის გადაცემას, რაც მოიცავს ინოვაციის კომერციული პოტენციალის შეფასებას, ინოვაციის გადაცემისათვის პარტნიორთა მოძიებას და ინოვაციის კომერციალიზაციის მიზნით ასეთი გადაცემის შეფასებას.
- სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას, რაც გულისხმობს იდეის ტესტირებას და ნიმუშის დამზადებას.
- ინოვაციების ლაბორატორია საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლობის შედეგად უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინფრასტრუქტურული და პროფესიული მომსახურებების გაწევას და ტრენინგების ჩატარებას, რაც გულისხმობს კონკრეტულ ბიზნესზე ორიენტირებულ სწავლებას, იდეის ტესტირებას და ნიმუშის დამზადებას.
- ინოვაციების ცენტრი უზრუნველყოფს მოსახლეობის კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლებას, ინოვაციების სფეროში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, დისტანციური სწავლებისა და დასაქმების პლატფორმების დანერგვას.

საქართველოს კანონით ინოვაციების შესახებ, ასევე განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს უფლება - მოვალეობები.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ხელს უწყობს ინოვაციების კომერციალიზაციას და ახდენს ინოვაციების გამოყენების სტიმულირებას. ინოვაციური პოტენციალის გაზრდა პირდაპირ კავშირშია დამწყები მეწარმეობის განვითარებასთან. სააგენტოს მიერ დაარსდა ტექნოლოგიური პარკი, რომელიც მოიცავს მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ერთობლივ სამუშაო სივრცეებს, რეკრეაციულ ზონას. ინოვაციების სააგენტო ადრეულ სტადიაზე მყოფ სტარტაპ კომპანიებს უჭერს მხარს, რომელთა წილი ქართულ ეკონომიკაში დღეს არც თუ ისე მაღალია. შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დაბალია, თუმცა ის ტენდენცია, რომელიც მიმდინარეობს და მოიცავს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვას ინოვაციების ეკოსისტემაში, უზრუნველყოფს დამატებითი ეკონომიკური ბენეფიტის მოტანას მთელი ქვეყნისთვის, რაც არაერთ წარმატებულ ქვეყანაში სწორედ ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებამ უზრუნველყო.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ 2018 წელს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში 17 სტარტაპი დააფინანსა. თანადაფინანსების გრანტების პროგრამამ ჯამში 1,632,896.12 ლარი შეადგინა. 5 ათას ლარამდე მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში 31 კომპანია, ჯამში 97 ბენეფიციარი დაფინანსდა. დაფინანსებული სტარტაპებიდან 100% აკმაყოფილებს ინოვაციურობის და მასშტაბურობის (მათ შორის გლობალურ ბაზარზე) კრიტერიუმებს.

ინოვაციების სააგენტოს აქტიურობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 2018 წლის მეორე ნახევარში, როდესაც არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, როგორც სატრენინგო მიმართულებით, ასევე დაფინანსების მიმართულებით. ასევე საქართველოს შეემატა თელავის ტექნოპარკი,

ახმეტის და რუხის ინოვაციების ცენტრები. გარდა ამისა, გადაიდგა კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები საქართველოში ინვესტორთა გაძლიერების და წახალისების მიმართულებით.

2019 წლის განმავლობაში ინოვაციების სააგენტოს სტრატეგია მიმართული იქნება კერძო ინვესტიციების მოზიდვაზე ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებაში. ინოვაციების სააგენტოს ყველა შემდგომი პროექტი მიმართულია კერძო ინვესტიციების მაქსიმალურ წახალისებაზე. ასევე იგეგმება რეგონალური ინოვაციების ცენტრებში აქტივობების მაქსიმალური ზრდა, რათა მთელი ქვეყნის მოსახლეობა აქტიურად იყოს ჩართული ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებაში [76].

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - „startap საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.

პროექტის კოორდინატორები არიან „საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მლნ ლარი, რაც შემდეგ 35 მლნ ლარამდე გაიზარდა.

მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს დაფინანსება პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. უზრუნველყოფა შემოიფარგლა მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოუჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

ვენჩურული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია.

სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საგადასახადო გარემო. როგორც აღვნიშნეთ 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სრულიად ახალი საგადასახადო კოდექსი. ძველი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საქართველოში მოქმედებდა 13 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, 6 ადგილობრივი გადასახადი და 1 საბაჟო გადასახადი, რომელიც რეგულირდებოდა საქართველოს საბაჟო კოდექსით, ანუ სულ 20 გადასახადი. 2004 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მოქმედებდა იქამდე, ვიდრე 2011 წლის 1 იანვარს ძალაში არ შევიდა 2010 წლის 17 სექტემბერს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი. ახალი საგადასახადო კოდექსით დადგინ-

და 6 გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივია – საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზისა და იმპორტის გადასახადი [44].

მიუხედავად გადასახადების რაოდენობის შემცირებისა გამოკითხული მეწარმეები მცირე მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებიდან პირველ ადგილზე აყენებენ მაღალ საგადასახადო განაკვეთებს 46, 2% (იხ. დიაგრამა 1.1.1).

დიაგრამა 1.1.1




შემდეგ მოდის, ფალსიფიცირებული ან უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა - 30,8%; ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა - 15,4%; საკრედიტო რესურსების ძნელად მისაწვდომობა - 7,7%. მეწარმეთა დიდი ნაწილის აზრით, რეფორმირებულმა საგადასახადო სისტემამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. საგადასახადო სისტემის არსებით ნაკლოვანებად მეწარმეები თვლიან მის არასტაბილურობას და არარეგულირებადობას. კანონში ხშირად ხდება შესწორებები ფინანსური წლის განმავლობაში.

მაღალი საგადასახადო განაკვეთი და სახელმწიფოს მიერ ბიზნესის ინტერესების დაუცველობა პირდაპირ სახელ-

მწიფო პოლიტიკის საკითხია, რაზეც კიდევ ბევრი მუშაობა მართებს მთავრობას. ბაზრის დაუცველობა ფალსიფიცირებული პროდუქტისაგან - ამ პრობლემის გადაჭრის ვალდებულება საქართველოს DCFTA-ს ფარგლებშიც აქვს აღებული. მეწარმეების მხრდან საკრედიტო რესურსებზე ძნელად ხელმისაწვდომობა ყველაზე ნაკლებ პრობლემად იყო დაფიქსირებული. თუმცა აღნიშნული გამოკითხვა საკრედიტო-საგარანტიო რეფორმამდე ჩატარდა.

საკრედიტო-საგარანტიო რეფორმა გულისხმობს, რომ კომერციულ ბანკს აღარ აქვს უფლება გასცეს სესხი გარანტიის გარეშე. ეს ნაბიჯი, შეიძლება ჩაითვალოს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. თუმცა, მთავრობა აპირებს შექმნას საკრედიტო-საგარანტიო ფონდი, რომელიც მეწარმეებს გარანტორად ჩაუდგება. იგეგმება, შესაბამისი უწყების შექმნაც. აღნიშნული პრაქტიკა ბევრ ქვეყანაშია ნაცადი. ფონდის 1/3-ს დააფინანსებს სახელმწიფო, 1/3-ს ბანკები და 1/3-ს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. რა შედეგის მომტანი იქნება აღნიშნული რეფორმა, ამ ეტაპზე რთული სათქმელია.

სტარტაპებისა და ინოვაციური წამოწყებების არსებობა თანამედროვე ეპოქაში დღითიდღე სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, რადგან ინოვაცია არის ის, რაც პირდაპირ განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონეს.

იმისათვის, რომ ქვეყანაში დაიწყოს მსგავსი სახის საქმიანობა პირველ რიგში, საჭიროა სახელწიფომ ხელი შეუწყოს განათლების პოპულარიზაციას ტექნოლოგიური მიმართულებით. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივების როლიც. საფინანსო ორგანიზაციები მეტად უნდა ჩაერთონ სტარტაპების დაფინანსების საქმეში, მაგალითად მათზე მორგებული სესხებით. რაც სახელმწიფოს ტვირთს ამ კუთხით მნიშვნელოვნად შეამცირებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის სტრატე-გიების გაცნობა და ეროვნული სამეწარმეო პოლიტიკის მას-თან დაახლოება. ჩვენ უკვე ვხვდებით ამის მრავალ მაგა-ლითსაც, როგორებიცაა ქალების სამეწარმეო განათლებასა და ჩართულობაზე ზრუნვა, სხვადასხვა პროგრამების არსე-ბობა და სხვა.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, არსებობს სხვადასხვა პოპულარული პროგრამა და ხელშეწ-ყობის პოლიტიკა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს საკმარისი არ არის. პრობლემა განათლების სფეროში იწყება და გრძელ-დება საგადასახადო კუთხით, სტანდარტების არ არსებობა მეწარმეებს ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან დაუცვე-ლობის შეგრძნებას უტოვებს.

საქართველოში არსებობს რესურსი მცირე მეწარმეთა რიცხვის გასაზრდელად. თუმცა, ამისათვის საჭიროა შესაბა-მისი ეკოსისტემის შექმნა და მასზე ზრუნვა.

მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინა-რე, უცხოელი ინვესტორების ყურადღებას, უმთავრესად მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იპყრობს. არ-სებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სტაბილურობას, ღია და კონკურენტუნარიანი ბაზრების ჩამოყალიბებას. საერთო ეკონომიკური რეფორმების ფონზე პრიორიტე-ტული უნდა იყოს ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობა და ამისათვის საჭირო ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამ მხრივ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: კერძოდ, საგა-დასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში.

დღევანდელი საგადასახადო სისტემის ძირითადი და-ნიშნულებაა სახელმწიფო უზრუნველყოს ფინანსური რე-სურსებით. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების უმე-ტესი ნაწილი (დაახლოებით 92%) ყოველწლიურად საგადასა-

ხადო შემოსავლებზე მოდის. ამიტომ, საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრას და გადასახადების კარგ ადმინისტრირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო პროცესსა და ქვეყნის პოლიტიკაში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას საფუძველი 1991-1992 წლებში ჩაეყარა, როდესაც ქვეყანამ ჯერ მიიღო ბრუნვის და გაყიდვიდან გადასახადები, ხოლო შემდეგ დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) და აქციზი. აღნიშნული პერიოდის შემდეგ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ და სისტემამ არსებითი ცვლილება რამდენჯერმე განიცადა. კერძოდ, 1991-1997 წლები ხასიათდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით. გადასახადები მინისტრთა კაბინეტის ცალკეული დადგენილებებით იყო დაწესებული, არ არსებობდა ერთიანი და მოწესრიგებული საგადასახადო კანონმდებლობა და დაბალი იყო საგადასახადო კულტურა. გადასახადების ამოღება რიგ შემთხვევებში ხდებოდა არა ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით.

1998-2004 წლები არის საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსის მოქმედების პერიოდი. კოდექსით განისაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა და სხვა. აღნიშნული პერიოდის დასაწყისში არსებობდა 18 გადასახადი, ხოლო მოგვიანებით მათ რიცხვს კიდევ 3 გადასახადი დაემატა.

2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსი ახალმა საგადასახადო კოდექსმა შეცვალა. ადრე არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 7, 2007-2008 წლებში ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ 6 გადასახადი, შემ-

ცირდა ზოგიერთი გადასახადის განაკვეთები და დაბეგვრის ობიექტები, ასევე სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის თანხების განაწილების მექანიზმები და ოდენობები.

ახალი საგადასახადო კოდექსი (ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან) 2005 წლიდან ამ სფეროში მოქმედ წესებს ცვლის. უცვლელი დარჩა საერთო და ადგილობრივი გადასახადების ექვსივე სახე და განაკვეთები. ერთადერთი გამონაკლისია აქციზური გადასახადი, რომელთა გაორმაგებული ოდენობაც გარკვეულ სასაქონლო კატეგორიებზე, მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებსა და ჯართზე, უკვე ამოქმედდა 2011 წლის 1 აგვისტოდან.

ახალი საგადასახადო კოდექსით, დამატებითი ღირებულების 18%-იანი გადასახადის (დღგ) სავალდებულო გადამხდელები არიან 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის კლების გრაფიკი გადავადებულია.ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებისთანავე გაუქმდა საბაჟო კოდექსი. იმპორტის გადასახადი სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე 12 და 5 პროცენტს შეადგენს. 2006 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებდა იმპორტის ცალკეულ ჯგუფებზე 0%-იანი დაბეგვრის რეჟიმი, რაც ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღარ არსებობს. იმპორტის გადასახადის გადახდა, იმპორტიორებს არა უშუალოდ საბაჟოზე, არამედ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისას მოუწევთ. არსებული ყოველთვიური გადახდის წესის ნაცვლად, გადასახადების დეკლარირება კვარტალურად მოხდება.

ახალი კოდექსით სიახლეა მიკრო ბიზნესის სტატუსის შემოღებაც. ასეთად შეიძლება დარეგისტრირდეს 2011 წლის 15 თებერვლამდე 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას. თუმცა 30 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე ყველა ფი-

ზიკური პირი ვერ მიიღებს მიკრო ბიზნესის სტატუსს, რადგან კოდექსის თანახმად, გამონაკლის საქმიანობის სახეებს მთავრობა პარლამენტთან ერთად განსაზღვრავს. მას ასევე ექნება უფლება აკრძალოს ამ სტატუსის ქვეშ ცალკეული საქმიანობების განხორციელებაც. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ასევე არა აქვთ საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

აღსანიშნავია ის, რომ ახალი კოდექსით საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისათვის ჯარიმების ოდენობა 400-დან 15 ათას ლარამდე მერყეობს. ამასთან, 2011 წლის ივლისიდან სალარო აპარატების გამოყენება სავალდებულო ხდება ბაზრობების მოვაჭრეებისთვისაც.

ახალი კოდექსით, დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოექცნენ ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ითვლებოდა ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესის შემოსავალი 3%-დან 5%-მდე იბეგრებოდა. შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრით სარგებლობდა ის მცირე ბიზნესი, რომელიც შეძლებს წარმოადგინოს მთლიანი შემოსავლის 60%-ის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯებისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. 3%-იანი დაბეგვრით ასევე სარგებლობენ მცირე ბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობდნენ. მაგალითად, ბაზრობა.

საქართველოში მეწარმეობის განვითარების და განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის რიგი მასტიმულირებელი ქმედებები ხორციელდება საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით.

2018 წლის 1 ივლისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 500 000 ლარამდე გაიზარდა. დასაბეგრი შემოსავალი 5%-ის ნაცვლად 1%-ით იბეგრება, თუმცა 3 %-იანი განაკვეთით იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 ათას ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე. თუმცა, მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 ათას ლარს გადააჭარბა. რაც შეეხება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციას, ის წინააღმდეგობაში არ მოდის მცირე ბიზნესის სტატუსთან, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ მეწარმეებმა, რომლებსაც მცირე ბიზნესის სტატუსი აქვთ მინიჭებული, საგადასახადო პოლიტიკით გატარებული ღინისძიებების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეღავათები მიიღეს, რაც გამოიხატა, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდით, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებით (იხ. ცხრილი N1.1.1).

რაც შეეხება საქმიანობის იმ სახეებს, რომლის განხორციელების შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის აკრძალული, ხოლო უკვე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, უუქმდება აღნიშნული სტატუსი, არის შემდეგი:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებარ-

თვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 261 პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა;

ცხრილი № 1.1.1.

| მცირე ბიზნესი | 01.01.2011 | 01.07.2018 |
|---|---|---|
| დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი | 5% | 1% |
| ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვარი | 100 000 - მდე | 500 000 - მდე |
| **მცირე ბიზნესი** | **01.01.2011** | **01.07.2018** |
| დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი | 3% | 3% |
| ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვარი | 100 000 - მდე | 500 000 - მდე |
| შენიშვნა | იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი | იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. |

2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება;
4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;
5. სათამაშო ბიზნესი;
6. პერსონალით უზრუნველყოფა;
7. აქციზური საქონლის წარმოება.

საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსი დაახლოებით 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს გააჩნია, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ გადამხდელების წახალისება სხვადასხვა შეღავათებით, რადგან რაოდენობრივი თვალსაზრისით შედარებით მოცულობითია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოცემული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისგან საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს საერთო საგადასახადო შემოსულობებზე, რადგან ამ ცვლილების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 40 მლნ ლარი დააკლდება. ზოგადად მცირე მეწარმეობის წილი კი ეკონომიკურ ბრუნვაში დაახლოებით 6%-ს შეადგენს.

რაც შეეხება რისკ-ფაქტორებს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ და რამაც შესაძლოა დამატებით შეამციროს საგადასახადო შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის ჭრილში, მდგომარეობს შემდეგში: მომსახურების სფეროში, მაგ: სამშენებლო ბიზნესში, პირებს, რომლებიც სარემონტო მომსახურებაზე არიან დასაქმებულები, შეუძლიათ მიიღონ მცირე ბიზნესის სტატუსი, რაც არ შედის აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალში, ხოლო დამქირავებელი (ამ შემთხვევაში სამშენებლო

კომპანია) აღარ დაბეგრავს საშემოსავლო გადასახადით, ანუ ნაცვლად 20%-ისა (საშემოსავლო გადასახადი) დაიბეგრებიან 1%-ით (მცირე ბიზნესის სტატუსი). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ ბიუჯეტში შემოვიდეს უფრო ნაკლები შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის ჭრილში, ვიდრე ეს არის დაგეგმილი. ასევე რისკ-ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ინფორმაციის ნაკლებობა, ანუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვს დეკლარაციაში არ მიუთითონ ინფორმაცია ნაშთების შესახებ, ასევე ფასნამატის შესახებ და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს უკვე ინფორმაციული ხასიათი და არ არის სავალდებულოდ შესავსები ველები, რაც თავის მხრივ, გაართულებს შემოსავლების სამსახურისთვის გადასახადის გადამხდელების (მცირე ბიზნესის სტატუსის საქმიანობის ფარგლებში) შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და შესაბამისად, გაკონტროლებას.

აღნიშნული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდას, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებას, ბუნებრივია არის დიდი სტიმული მოცემული კატეგორიის მეწარმეებისთვის, თუმცა ასევე საჭიროა დინამიკაში მოხდეს დაკვირვება, ხომ არ გამოვლიდება ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ, რაიმე დამატებითი რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზებას. თუმცა ზემოთხსენებული რისკ-ფაქტორი (რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საშემოსავლოს გადასახადზე) უნდა იყოს დაკვირვების ობიექტი დინამიკაში, რადგან უკვე მოსალოდენლი შემცირებული შემოსავალი ბიუჯეტში, კიდევ უფრო არ შემცირდეს.

2012 წლიდან მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსს დაემატა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის ცნება. ეს შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. თუმცა რომელია ეს სახეები, ამას მთავრობა განსაზღვრავს. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები შეიძლება დასაბეგრ ობიექტზე განისაზღვროს 1-დან 2000 ლარამდე ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ით. ამ განაკვეთსაც საქმიანობის მიხედვით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. პირს უფლება აქვს, ფიქსირებული გადასახადის დაბეგვრის რეჟიმზე წლის ნებისმიერ თვეს გადავიდეს. მთავრობა ფიქრობს, რომ აღნიშნული გადასახადით და სხვა შეღავათებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდა მიიღწევა. გარდა ამ ცვლილებებისა „რევოლუციურ კოდექსში“ კიდევ უამრავი ცვლილება განხორციელდა, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა მეწარმესა და ხელისუფლებას შორის მეტად ცვალებადია, ეკონომიკა პოლიტიზირებული გახდა.

მეწარმეების აზრით, ფიქსირებულ გადასახადთან ერთად, რომელიც 2012 წლიდან მოქმედებს, კარგი იქნება საგადასახადო ლიცენზიების შემოღება. მეწარმე ყიდულობს საგადასახადო ლიცენზიას ერთი ან რამდენიმე თვის განმავლობაში და თავისუფლდება ყველა გადასახადისგან. როდესაც გადასახადი ხელმისაწვდომი იქნება, ყველა გადაიხდის დასახელმწიფოსაც უზარმაზარი შემოსავალი გაუჩნდება. აღნიშნული სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს უკრაინაში.

როგორც ჩანს, მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებისა, მოქმედ საგადასახადო სისტემაში ბევრი პრობლემატური საკითხია, რაც ხელს უშლის და ხშირ შემთხვევაში აფერხებს კიდეც მეწარმეობის განვითარებას.

2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი იგი შეიქმნა ქართულ კანონმდებლობასთან შეთანხმებით და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. შესაბამისად, იგი განსხვავდება ესტონური მოდელისგან, თუმცა მთავარი პრინციპები იგივეა. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი თავდაპირველად სწორედ ესტონეთში დაინერგა. ესტონეთი 1991 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც 1994 წლიდან დანერგა ბრტყელი საგადასახადო სისტემა (flat tax). ამ სისტემისთვის დამახასიათებელია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, ანუ იგი თავისი არსით არის პროპორციული საგადასახადო განაკვეთების სისტემა, თუმცა პრაქტიკაში გამოყენების დროს რეგრესულ და პროგრესულ ფორმებსაც იღებს. 1994 წელს საგადასახადო განაკვეთი ნებისმიერი სახის კერძო შემოსავლებზე 26% იყო. შემდეგში (2005-2008) ეს განაკვეთი 21%-მდე შემცირდა. ამასთან, მოგების გადასახადი ესტონეთში 2015 წლამდე 21% იყო, 2015 წლის შემდეგ კი ის 20% გახდა [82].

ალსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის ეს სისტემა (ესტონური მოდელი) პირველად 2000 წელს იქნა შემუშავებული. ამ მოდელის ეფექტები ეკონომიკაზე ცალსახად დადებითად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ძალიან მალე ესტონეთი სწრაფად განვითარებადი ქვეყანა გახდა. მსოფლიო ბანკის მიერ ესტონეთი დღეს შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი ქვეყანა მშპ-ს წილით მოსახლეობის ერთ სულზე.

საქართველოში მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვის მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პი-

რობების შექმნა და შიდა ინვესტიციების ზრდა. მოგების გადასახადი 2017 წლამდე 15 პროცენტი იყო, რომელიც არ შეცვლილა ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგად. თუმცა დაანგარიშება არის განსხვავებული, ვიდრე ეს ამ მოდელის დანერგვამდე იყო. ზოგი მიიჩნევს (გარკვეულწილად სამართლიანადაც), რომ ეს მოდელი იწვევს გადასახადის ფარულ ზრდას, რადგან დასაბეგრი მოგება ჯერ იყოფა 0.85 -ზე, ხოლო შემდეგ ამ მიღებული მოცულობიდან ხდება 15%-ის დაანგარიშება, რაც ცხადია შეფარულად ზრდის გადასახდელ თანხას. მოგების გადასახადი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\textit{დასაბეგრი მოგება}}{0.85} \times 15\%$$

ვთქვათ, კომპანიის მოგება არის 1000 ლარი. 2017 წლამდე იგი გადაიხდიდა მოგების 15%-ს ანუ 150 ლარს, თუმცა ახალი მოდელის მიხედვით დაანგარიშება განხვავებულად ხდება, კერძოდ: $\frac{1000}{0.85} \times 15\% = 175.5$. აქედან კი ვიღებთ, რომ $\frac{176.5}{1000} \times 100 = 17.65\%$, რაც ცხადია უფრო მაღალია, ვიდრე 15%. აღნიშნული მოდელის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოგებას, რომლის ინვესტირებაც მოხდება, აღარ დაეკისრება მოგების გადასახადი, ანუ თავისუფლდება გადასახადისგან. დავუშვათ, კომპანიას აქვს 100 ლარის მოგება, თუკი იგი მთლიანად მოახდენს ამ თანხის ინვესტირებას ბიზნესში, მაშინ მას საერთოდ არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა. მაგრამ ცხადია, რომ კომპანია ვერ შეძლებს მუდმივად მოახდინოს მოგების რეინვესტირება, ამის პარალელურად კი იქამდე რეინვესტირებული თანხებიდან ბიზნესი დაიწყებს ზრდას და მეტ მოგებას მიიღებს. საბოლოოდ, კი კომპანიას მაინც მოუწევს მოგების 15% გადახდა ამჯე-

რად უფრო მაღალი მოგებიდან. ეს ცხადია გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს და ქვეყნის განვითარებაზე დადებითად აისახება. თუმცა მოდელის დანერგვიდან მოკლევადიან პერიოდში ეს მოდელი საბიუჯეტო შემოსავლების (მოგების გადასახადის სახით) შემცირებას იწვევს.

ახალი მოგების გადამხდელი არის [79]:

- საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული რეზიდენტი საწარმო (მათ შორის შპს, სააქციო საზოგადოება და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირები);
- არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების საშუალებით ახორციელებს ან/და შემოსავლებს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გამონაკლისები, და შესაბამისად ახალი მოგების გადასახადი არ ეხება:

- ორგანიზაციას (სსიპ, ააიპ, საქველმოქმედო ორგანიზაციას);
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად მოგების მიმღებ პირებს;
- არარეზიდენტ საწარმოს, რომლის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ მიეკუთვნება მის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში;
- ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირებს;
- 2019 წლის 1 იანვრამდე - კომერციულ ბანკს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ლომბარდს;

- ინდივიდუალურ მეწარმეს;
- მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირს;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს.

ამასთან, ახალი მოდელის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს:

- განაწილებული მოგება - საწარმოს მის მიერ პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით მოგების განაწილება(სსკ-ის 98 მუხლი);
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის - ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, ასევე ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგება, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება და სხვა (სსკ-ის 98 მუხლი);
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა - საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება (სსკ-98 მუხლი);
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც გაწეულია საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით (სსკ-ის 98 მუხლი).

ამასთან, ახალი მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე, რაც ახალი პრაქტიკაა, რადგან აქამდე, როგორც ცნობილია, საანგარიშო პერიოდი იყო კალენდარული წელი. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება ყოველთვიურად (ელექტრონული

ფორმით), არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხდება მოგების გადასახადი (მაგალითად, 2017 წლის იანვრის თვეში განხორციელებული ოპერაციების მიხედვით, დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2017 წლის 15 თებერვლისა).

მოგების გადასახადს სტაბილური წილი ეჭირა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, და მისი პროცენტული წილი, ბოლო წლების მონაცემებით საშუალოდ დაახლოებით12%-ს შეადგენდა. მოგების გადასახადის მიხედვით შემოსავლები და მათი პროცენტული წილი წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილი №1.1.2-ში.

**მოგების გადასახადის სიდიდე და მისი წილი შემოსავლებში**

ცხრილი № 1.1.2. [77]

| **წელი** | **2007** | **2008** | **2009** | **2010** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** | **2017 გეგმა** | **2018 გეგმა** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მოგების გადასახადი (მლნ ლარი)** | 555 | 592 | 518 | 576 | 832 | 851 | 807 | 829 | 1025 | 1055 | **740** | **630** |
| **წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (%)** | 12 | 11 | 11 | 11 | 13 | 12 | 12 | 11 | 13 | 12 | **8** | **6** |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოგების გადასახადი 2017 წელს წინა წელთან შედარებით, 29.8%-ით შემცირდა, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლებში მოგების გადასახადმა 8% შეადგინა, რაც 4% -ით ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს.

როგორც ვხედავთ, მოგების გადასახადი 2018 წლის გეგმის მიხედვითაც მცირდება, რაც ცხადია უკვე ტენდენციის ხასიათს იღებს, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად შეგვიძლია შევაფასოთ. ის დანაკლისი, რომელიც მოგების გადასახადის შემცირების გამო არსებობს მთავრობამ გადაწყვიტა სხვა გადასახადების ზრდით დააკომპენსიროს, რაც კარგად ჩანს №1.1.3. ცხრილიდან.

როგორც №1.1.3 ცხრილიდან ჩანს, 2017 და 2018 წლებში მკვეთრად არის გაზრდილი აქციზის, დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადები. მათ შორის ყველაზე მაღალი ზრდა არის აქციზის, 34.1%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და საგანგაშოდაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა შეიძლება დავუკავშიროთ ეკონომიკურ აღმავლობას, რაც მუდმივი პროცესია და თავისთავად ავტომატურად იწვევს შემოსავლების ზრდასაც, თუმცა 2017 წელი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან თუკი შევხედავთ წინა წლების მონაცემებს გადასახადების ასეთი ტემპით ზრდა არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება, ამასთან არც 2017 წლის რეალური მშპ-ს 5%-იანი ზრდა არის საკმარისი მიზეზი გადასახადების ასეთი ზრდისა. ამ ყველაფრის ფონზე, მიუხედავად მოგების გადასახადის შემცირებისა, საგადასახადო შემოსავლები 2017 წელს წინა წელთან შედარებით საერთო ჯამში 12.4 %-ით გაიზარდა.

**გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები (მლნ ლარი)**

ცხრილი № 1.1.3 [77]

| **წელი** | **2015** | **2016** | **2017 გეგმა** | **2018 გეგმა** |
|---|---|---|---|---|
| **საგადასახადო შემოსავლები სულ (მლნ ლარი)** | 7550 | 7987 | 8980 (ზრდა 12.4%) | 9490 (ზრდა 5.7%) |
| **აქციზი(მლნ)** | 871 | 1070 | 1435 (ზრდა 34.1%) | 1450 (ზრდა 1%) |
| **დღგ(მლნ)** | 3505 | 3286 | 4020 ზრდა (22.3%) | 4400 (ზრდა 9.4%) |
| **საშემოსავლო გადასახადი(მლნ)** | 2052 | 1978 | 2570 (ზრდა 30%) | 2780 (ზრდა 8%) |
| **იმპორტის გადასახადი(მლნ)** | 69 | 70 | 65 | 60 |
| **მოგების გადასახადი(მლნ)** | 1025 | 1055 | 740 (შემცირება 30%) | 630 (შემცირება 15%) |
| **სხვა გადასახადები(მლნ)** | 27 | 527 | 150 | 170 |

ბიუჯეტის დეფიციტი, როგორც № 1.1.4 ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა, თუმცა 2018 წლის გეგმური მაჩვენებლის მიხედვით დეფიციტის ზრდა 151%-ით არის მოსალოდნელი. ეს მართლაც საგანგაშო მაჩვენებელია.

**საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი წლების მიხედვით**

ცხრილი № 1.1.4. [77]

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 გეგმა | 2018 გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტის დეფიციტი(მთლიანი სალდო)მლნ ლარი | -99 | -396 | -663 | -380 | -578 | -388 (შემცირება 33%) | -975 (ზრდა 151%) |

რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპსა და კაპიტალის ფორმირების მაჩვენებლებს, როგორც № 1.1.5. ცხრილიდან ჩანს, ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება და მთლიანი კაპიტალის ფორმირება საერთო ჯამში დიდად არ შეცვლილა. და მეტიც, ის უფრო ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე 2016 წელს 2015 წელთან შედარებით.

**მშპ და მისი გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით**

ცხრილი № 1.1.5. [72, 83]

| წლები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| P.5 (+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება (მლნ ლარი) | 4477,7 | 6368 | 7575,4 | 6652,9 | 8688,9 | 10004,3 | 11136,6 | 12133,3 |
| P.51 ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (მლნ ლარი) | 4009 | 5474,3 | 6496,8 | 5892,7 | 7534,7 | 9032 | 10310,3 | 11238,3 |

თუმცა მშპ-ის ზრდა აშკარად შესამჩნევია წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით. კერძოდ, 2015 წელს ის იყო 2,9%, 2016 წელს -2,8%, 2017 წელს -5% [72]. მაგრამ რამდენად არის ეს განპირობებული ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებით, ეს ცოტა სადავოა, იმიტომ, რომ ახალი სისტემის ხელშესახები შედეგის ხილვა 1,5 წლის შემდეგ (დანერგვიდან) უნდა იყოს შესაძლებელი, როგორც ეს ივარაუდეს კანონპროექტზე მომუშავეებმა.

ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით 2018 წლის პირველ კვარტალში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტირების მოცულობა 199,6 მლნ დოლარი იყო, 2017 წელს იმავე პერიოდში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან რეინვესტირებულმა თანხამ 181,8 მლნ შეადგინა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 19,8 მლნ დოლარი იყო, ხოლო 2015 წელს კი - 47,2 მლნ დოლარი. ეს ციფრები მართლაც რომ გასაოცარია, თუმცა ექსპერტების გარკვეული ნაწილი ამ ფაქტს საგადასახადო ცვლილებებს არ მიაწერენ და მიაჩნიათ, რომ ასეთ მოკლე პერიოდში (3-4 თვე) ახალი საგადასახადო რეფორმა ვერ გამოიწვევდა ასეთ შედეგებს.

თუ საკითხს უფრო განვავრცობთ, ვნახავთ, რომ 2010 წლიდან მოყოლებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტირების მთლიანი მოცულობა იზრდება მაგრამ, 2017 წელს მან რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და წინა წლის მაჩვენებელს 104,7%-ით გადააჭარბა, რაც ნამდვილად შთამბეჭდავია [72].

გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა აქციზის გადასახადი(მათ შორის საწვავზე), ამას წესით უნდა გამოეწვია ფასების ზრდა საქონელსა და მომსახურებაზე, შესაბამისად, ინფლაციის მაჩვენებელი ასე გამოიყურება (იხ. გრაფიკი).

**წლიური ინფლაცია**
**(სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან) [83]**




როგორც გრაფიკიდან ჩანს, ინფლაციის ტემპი, მართლაც გაზრდილია 2017 წლის განმავლობაში, რაც არ არის გამორიცხული იყოს განპირობებული სხვა ფაქტორებითაც, თუმცა, გადასახადების ზრდა, რომელიც საბოლოოდ კომპანიებს უზრდის დანახარჯებს, ცხადია მათ ფასების ზრდისკენ უნდა უბიძგებდეს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ახალი საგადასახადო სისტემა მაინც პოზიტიურად უნდა შევაფასოთ, რადგან აშკარად შეიმჩნევა გაუმჯობესება ინვესტიციებისა და მშპ-ს მოცულობაში, რამაც საბოლოოდ ქვეყნის კეთილდღეობის ზრდა უნდა განაპირობოს. თუმცა როგორც ექსპერტთა (გ. ქადაგიძე, გ. ბერიძე) [1], ასევე ჩვენი აზრითაც, ახალ მოდელს აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, რაც უნდა დაიხვეწოს. კერძოდ:

- მოგების გადასახადის გაუქმება არ უნდა შეეხოს ფინანსურ (საბანკო, დაზღვევის და ა.შ.) და ფარმაცევ-

ტულ სექტორებს. ეს ინდუსტრიები ისედაც არ იხდიან არანაირ გადასახადს, გარდა მოგებისა და მათი საგადასახადო ტვირთი ისედაც მინიმალურია;

- ასევე არ უნდა შეეხოს ბუნებრივ მონოპოლიებს (თელასი, თბილისის წყალი, ენერგო-პრო და ა.შ.), ვინაიდან ასეთი კომპანიები არ იმყოფებიან კონკურენტულ გარემოში მოგების მიღების პროცესში;
- გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობას უწევს ფაქტობრივად შემცირებული მოგებიდან დაკარგული შემოსავლების ანაზღაურება, უნდა შემცირდეს აქციზი;
- განისაზღვროს მოგების გადასახადი რეინვესტირების შემთხვევაში 5%-ით, რათა მოხდეს მოსახლეობის გადასახადის ტვირთის შემცირება;
- განისაზღვროს მოგების ზღვარი, რომლის მიღმაც კომპანია აღარ ისარგებლებს ამ შეღავათით და გადაიხდის მოგების 15%-ს;
- კანონმდებლებმა უნდა იფიქრონ მოგების საგადასახადო დეკლარირების თვიურიდან კვარტალურ ან წელიწადში ორჯერ დეკლარირებაზე გადასვლაზე, რაც შეამცირებს და გაადვილებს დეკლარირებას და ადმინისტრირებასაც;
- მცირე ბიზნესს მიეცეს საგადასახადო შეღავათი;
- შემცირდეს ბიუროკრატიული ხარჯები.

ვიმედოვნებთ, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი წარმატებული იქნება საქართველოშიც, ის ნაკლებად დააზარალებს სხვა გადასახადის გადამხდელებს და მთლიანად მოსახლეობას.

## 1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

საქართველოში მეწარმეობის განვითარებისათვის არსებითია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) როლი. იგი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოში დღეისათვის არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია. თუმცა ყურადსაღებია უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებიც, კერძოდ, ჯერ ერთი, კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორე, ეს კორპორაციები თვითონ იღებენ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის ფინანსების, საგრძნობ ნაწილს და შესაბამისად, ამოსავალი ყოველთვის უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ მარკეტინგული პოლიტიკა, კერძოდ, ინვესტიციის მიმღები ქვეყნის იმიჯის ამაღლება ხორციელდება სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების საფუძველზე, რომელიც წარმოაჩენს მოცემულ ქვეყანას, მის პოტენციურ შესაძლებლობებს. ამისათვის გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სპეციალური გამოცემები, ტარდება დისკუსიები და სპეციალური შეხვედრები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ინვესტირების პირობების ინფორმაციულ გაშუქებას. ეს მიმართულება საჭიროებს მნიშვნელოვან სახსრებს და როგორც წესი, ხორციელდება სახელმწიფო დონეზე. ხშირად ამისათვის სახელმწი-

ფო ფინანსური საშუალებები არ არის საკმარისი. ასეთ დროს პრიორიტეტი ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში პუი-ების მოზიდვის მიმართულებით რეკორდული აღმოჩნდა 2014 წელი (იხ. დიაგრამა 1.2.1.), როდესაც მისმა წლიურმა მაჩვენებელმა 1 მლრდ 758 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია და 2013 წლის მონაცემებს 87%-ით აღემატებოდა. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პუი-ების 19% შეადგინა, რაშიც განსაკუთრებით ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, აგრეთვე სამშენებლო სექტორი გამოირჩეოდა.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2012-2016 წწ. (მლნ აშშ დოლარი)**

დიაგრამა 1.2.1.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.

2014 წლისათვის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია: ნიდერლანდები – 21%, აზერბაიჯანი - 19%, ჩინეთი - 12%. ამავე წლისათვის უმსხვილესი პუი-ები ეკონომიკის სექ-

ტორების მიხედვით ასე გამოიყურება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 27%; მშენებლობა – 23%, დამამუშავებელი მრეწველობა - 13%; ენერგეტიკა - 8%; უძრავი ქონება - 7%; საფინანსო სექტორი - 6%; სამთო-მომპოვებელი მრეწველობა - 3%; დანარჩენი სფეროები - 12%.

2015 წელს პუი-ების ოდენობამ 1564,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11%-ით ნაკლებია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პუი-ების 9% შეადგინა. 2015 წელს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა გახდა აზერბაიჯანი - 35%, გაერთიანებული სამეფო - 25% და ნიდერლანდები (ამ უკანასკნელმა წინა წლის პირველი ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა) - 10%. გეოგრაფიული განაწილების მიხედვით პირდაპირი ინვესტიციების 78% თბილისზე მოდის, მეორე ადგილზე კი აჭარის რეგიონი იყო.

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, პუი-ები მკვეთრად გაიზარდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. აღნიშნული ზრდა უკავშირდება გაზსადენის მშენებლობის პროექტს, რომელსაც აზერბაიჯანი ახორციელებს და სწორედ აზერბაიჯანიდან გაიზარდა პუი-ების შემოდინება საქართველოში. ინვესტიციების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა როგორც ჯანდაცვის სექტორში, ასევე სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში, ტურიზმში (სასტუმროების და რესტორნების მშენებლობის კუთხით), საფინანსო სექტორში, სოფლის მეურნეობაში, თევზჭერაში და სხვ. ამავე წელს ინვესტიციები შემცირდა მშენებლობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, უძრავ ქონებაში და ენერგეტიკაში.

2016 წელს საქართველოში განხორციელებული პუი-ების მოცულობამ 1565.9 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 0,1 %-ით აღემატებოდა. რეინვესტირების ოდენობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32% იყო.

2016 წელს ინვესტიციების განხორციელების მხრივ გამოირჩეოდა აზერბაიჯანი (35%), თურქეთი (17%), გაერთიანებული სამეფო (7%) და ნიდერლანდები (6%, რომელმაც მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა). ინვესტიციების მიმართულებების და ინტერესების მხრივ პირველ ადგილზე ისევ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა და სამშენებლო სექტორი იყო [72].

აღნიშნულ წელს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპი სამშენებლო სექტორზე მოდის. ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და მსუბუქი მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს გააჩნია სანედლეულო ბაზა და სამეურნეო ტრადიციები. მიუხედევად ამისა, ეს დარგები ნაკლებადაა გამიზნული ინვესტიციებისადმი, რაც შექმნიდა სამუშაო ადგილებს და გაზრდიდა ეკონომიკური აღმავლობის ტემპებს.

2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილის მიხედვით პირველ ადგილზე კვლავ თბილისი იყო (86,2%), შემდეგ მოდიოდა აჭარა - 5,8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია - 2,2%. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება : სამცხე-ჯავახეთი - 2%, ქვემო ქართლი -1,8%; იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 1,7%, ბოლო ადგილებს იკავებენ შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი (0,2%) და კახეთი (0,1%).

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ინვესტიციები გაიზარდა თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთში, ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა კახეთში (8,2-ჯერ) და აჭარაში (2,2 ჯერ) [72].

2017 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პუი-ების მოცულობამ 1861, 9 მლნ დოლარი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მაჩვენებელს. 2017 წელს ქვეყნების მიხედვით ინვესტიციებში კვლავ აზერბაიჯანი ლიდერობს (იხ. დიაგრამა 1.3.2), რაც ქვეყანაში მიმდინარე ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო პროექტის, შაჰ-დენიზის მილსადენის მშენებლობას უკავშირდება. პროექტის ფარგლებში 2013-2019 წლებში საქართველოში ერთ მილიარდამდე მოცულობის ინვესტიციის განხორციელებაა დაგეგმილი. მას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია სოკარი საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ახორციელებს.

2017 წელს საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების რეიტინგი ასე გამოიყურებოდა: აზერბაიჯანი ($482,1 მლნ), თურქეთი ($279 მილიონი), გაერთიანებული სამეფო ($250,4 მილიონი), ნიდერლანდები ($224,3 მილიონი), ჩეხეთი ($133,8 მლნ), აშშ ($74,4 მილიონი), არაბეთის გაერთიანებული ემირატები ($62,7მლნ), პანამა ( $54,0 მილიონი), ჩინეთი ($51,9 მილიონი). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სიაში აღმოჩნდა ოფშორული ზონაც (პანამა), რომელსაც ქართველი ბიზნესები რეინვესტირებისთვის იყენებენ. ამავე პერიოდისთვის უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილის მიხედვით პირველ ადგილზეა თბილისი (78,2%), მეორეზე აჭარა (9,96%), მესამეზე ქვემო ქართლი (3,6%) [72].

როგორც ჩანს, ინვესტიციების მოცულობა, რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ დიდია დედაქალაქში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტენდენცია შეინიშნება თითქმის მთელი ბოლო 10 წლის განმავლობაში (აღინიშნა მცირე ცვლილებებიც. მაგალითად, 2006 და 2016 წელს ყველაზე დიდი ინვესტიციები რეგიონებიდან აჭარაში დაფიქსირდა; სამეგრელო-ზემოსვანეთმა პირველობა 2012 წელს მოიპოვა და 2007

წელსაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ჰქონდა; ქვემო ქართლს 2009 წელს ინვესტიციებში სერიოზული ჩავარდნა აღენიშნებოდა; იმერეთში კი, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს, ზოგადად, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციებით საკმაოდ ცუდი მაჩვენებელი აქვს, 2012 წელი მაინც ყველაზე შემოსავლიანი ჰქონდა, რაც, პარლამენტის შენობის მშენებლობა-კეთილმოწყობის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული).

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2017 წელს (მლნ აშშ დოლარი)**

**დიაგრამა 1.2.2.**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტენდენცია მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. ეს ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს, როდესაც ეკონომიკურად მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ქალაქი ვითარდება. უცხოური კაპიტალი კონცენტრაციას მაინც მსხვილ ადმინისტრაცი-

ულ ქალაქებზე აკეთებს. ჩვენს შემთხვევაში ასეთია თბილისი, ბათუმი და ნაწილობრივ ქუთაისი (საერთაშორისო აეროპორტის ფაქტორით). ცხადია, რომ სახელმწიფოს გააქტიურება აუცილებელია, რადგან აღნიშნული ქალაქების გარდა, სხვა რეგიონებიც უნდა გახდეს ინვესტორისთვის მიმზიდველი. გაზრდილი ინვესტიციების ფონზე, რეგიონების მიმართ უცხოელი ბიზნესმენების დაინტერესება ეფექტურად ისევ ვერ ხორციელდება. ინვესტორი ძირითადად ირჩევს ისეთ რეგიონს, სადაც სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურაა განვითარებული. მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ რჩება კვალიფიციური კადრების პრობლემა, რაც განათლების სფეროს და საკანონმდებლო ბაზის სწრაფი მოდერნიზაციის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. ამრიგად, სახელმწიფომ უნდა გადადგას უფრო ქმედითი ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს [20, გვ. 179].

საქართველო დღეს ცდილობს რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში არსებული სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით და ასევე იაფი მუშახელის შეთავაზებით, თუმცა შეთავაზებულ იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, მომსახურების გაწევა, რემონტი, გზების დაგება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასევე ქვეყანაში პრობლემურია თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ამიტომ მანამდე, სანამ ქვეყანაში სისტემურად არ შეიცლება მიდგომა და არ მოხდება კვალიფიცირებული კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად მომზადება და ინვესტორებისთვის მიწოდება, ვერ მოხერხდება უცხოური ინვესტი-

ციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ცვლილება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამიტომ ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, შესაბამისად, ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც.

საკანონმდებლო დონეზე, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში ინვესტიციების სტიმულირებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული. პირველი ეს არის 1996 წლის „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა (როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები). მეორე 2006 წელს მიღებული „საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანს წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდების, სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. ეს კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას ხელისუფლებასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობის საშუალებას აძლევს. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის სამართლებრივი რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის შექმნის მიზნების და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით არსებობს რამდენიმე საინვესტიციო ფონდი: საპაიო (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა, სააქციო ფონდი და სხვ. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა [80].

ალსანიშნავია, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი (საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი), დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020), მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინიმიზირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ა.შ. [38]. ამგვარი ქმედებები აუცილებლად გაზრდის ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

2017 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა კანონი, რომელიც ქონებისა და მომსახურების დოლარში რეალიზაციას კრძალავს. აღნიშნული რეგულაცია დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის ნაწილია და ის ძირითადად სამშე-

ნებლო და საავტომობილო ბაზრის დოლარიდან ლარში გადართვას ისახავს მიზნად.

მთავრობამ სამშენებლო სექტორის წახალისების მიზნით, 2020 წლამდე დღგ-სგან გაათავისუფლა 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე დაწყებული და შემდეგ შეჩერებული პროექტების განვითარება.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ხშირად ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნასაც კი იწვევს.

თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას

ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

პუი-ს მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორებია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე, გეოპოლიტიკური მდებარეობა, დაბალი გადასახადები, კრედიტის მიღების სიმარტივე, საკუთრების დარეგისტრირების სიმარტივე, ბუნებრივი რესურსები, რეგულაციების დაბალი ტვირთი, კორუფციის და კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი.

პუი-ს მოზიდვის ხელისშემშლელი ფაქტორებია: მცირე ბაზარი, ნაკლებად ხორციელდება პუი-ს მოზიდვის მარკეტინგული პოლიტიკა, მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად უმუშევრების დიდი რაოდენობისა დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება), მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ქვეყანაში კონფლიქტური ზონების არსებობა და სხვ.

აუცილებელია მდგრადი განვითარების რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, რაც გულისხმობს ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და რესურსების გადანაწილებას რეგიონებს შორის, მათ შორის არსებული ტერიტორიული განვითარების დონეების განსხვავებათა დაბალანსებისათვის;

სასურველია უცხოური ინვესტიციების რეგიონულ ჭრილში განთავსება განხორციელდეს არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციის კრიტერიუმით, არამედ მას საფუძვლად დაედოს რეგიონთაშორისი სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების პრინციპი, რომლის უმთავრესი ამოსავალი კრიტერიუმი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ცხოვრების დონის ამაღლება;

ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები. ამ მიზნით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია ინვესტიციების სტიმულირება სოფლის მეურნეობის და მსუბუქი მრეწველობის მიმართულებით. სოფლის მეურნეობაში არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს ახლებურმა რეგიონულმა სპეციალიზაციამ, რაც ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური და ტრადიციული მეურნეობის პოტენციალის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია არა მარტო კვების, არამედ მსუბუქი (საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ტრადიციული რეწვის და სხვ.) მრეწველობის განვითარების წინაპირობა გახდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მიმართულებებს, რაც ქალთა დასაქმებას, და შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის რეემიგრაციას შეუწყობას ხელს.

დროის მოთხოვნაა შრომის ბაზარზე პროფესიული კადრების მომზადება\გადამზადება, რაც გაზრდის დასაქმებას და რეგიონების დემოგრაფიულ სტაბილურობას.

# თავი II

## ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი ეკონომიკურ პოლიტიკას ეკისრება. ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი ბიზნეს გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებას, რაც დამოკიდებულია სტაბილურ კანონებზე და მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე.

გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიები კიდევ უფრო აძლიერებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალაუფლებას და სხვა ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხს. სწორედ ასეთი ქვეყნებია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანნი. დღევანდელი შეზღუდული რესურსების პირობებში თითქმის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს ყველა პოზიციაში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (შვეიცარია, ჟენევა) ყველაზე ცნობილი და დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ფორუმის ანგარიში ქვეყნების ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტური და დამოუკიდებელი ანალიზის საფუძველზე ემსახურება პრაქტიკული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი განვითარებისათვის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს 1979 წლიდან აქვეყნებს. იგი კონკურენტუნარიანობის რეიტინგს სხვადასხვა კრიტერიუმით ადგენს. მათ შორისაა სახელმწიფო ინსტიტუტების, ინფრასტრუქტურის, მაკროეკონომიკუ-

რი გარემოს და შრომის ბაზრის ეფექტურობა. კვლევას საქართველო 2004 წელს შეუერთდა.

აღნიშნული რეიტინგები გავლენას ახდენენ ინვესტორების განწყობაზე. ინვესტორის დადებითი განწყობა ქვეყნის მიმართ ხელს უწყობს საინვესტიციო ნაკადების ზრდას, რაც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს საკითხი მწვავედ დგას საქართველოში. უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემებია.

საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგის ცვლილება ნაჩვენებია 2.1 დიაგრამაზე.

**საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგის ცვლილება 2004-2018წწ.** [11].

დიაგრამა 2.1.




როგორც დიაგრამიდან ჩანს, კონკურენტუნარიანობის რეიტინგში 2004-2005 წლებში საქართველოს მსოფლიოს 140 ქვეყნიდან 94-ე ადგილი ეკავა, პოზიცია წლების განმავლო-

ბაში უმჯობესდებოდა და 2016-2017 წლებში ქვეყანა 59-ე ადგილზე იყო. 2017-2018 წლის მონაცემებით საქართველო 137 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა [11]. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია რეიტინგში 8 საფეხურით შემცირდა, ქვეყნის სარეიტინგო ქულა არ შეცვლილა, იგივე - 4,3 დარჩა. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოზიციის შემცირება ძირითადად სხვა ქვეყნების მიერ პოზიციების გაუმჯობესებით არის განპირობებული. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ წელს ყველაზე მეტად გაუმჯობესებული შედეგები დაბალი ბაზიდან იწყება. „მოლდოვა 11 საფეხურით დაწინაურდა და 89-ე ადგილს იკავებს. სხვებმა, რომლებიც ბოლო წლებში დაწინაურდნენ, კვლავ უკან დაიხიეს, მათ შორის საქართველომ (67-ე ადგილი) და ყაზახეთმა, (57-ე ადგილი) რომლებმაც, შესაბამისად, რვა და ოთხი საფეხური დაკარგეს“, - ნათქვამია ანგარიშში.

საქართველო მსოფლიო მასშტაბით 137 ქვეყანას შორის 8 ქვეკომპონენტში პირველ ათეულში შედის. ეს ქვეკომპონენტებია: წლიური ინფლაცია (პირველი ადგილი), სავაჭრო ტარიფები (მე-4 ადგილი), ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დღეების რაოდენობა (მე-6 ადგილი), ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების რაოდენობა (მე-7 ადგილი), ინვესტორთა უფლებების დაცვის სიძლიერე (მე-7 ადგილი), მთლიანი საგადასახადო განაკვეთი (მე-8 ადგილი), სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი (მე-9 ადგილი), მალარიის შემთხვევები (პირველი ადგილი).

2018 წლის რეიტინგის 12 ინდიკატორში საქართველოს სარეიტინგო ქულები გაუმჯობესდა 8 მიმართულებით. ესენია ინსტიტუტები, ICT მიღების მზაობა, ჯანდაცვა, უნარები, ვაჭრობის ღიაობა, ბაზრის მოცულობა, ბიზნესის დინამიკურობა, ინოვაციური უნარ-ჩვევები. სარეი-

ტინგო ქულების მიხედვით, გაუარესებულ ინდიკატორებს შორის არის ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საფინანსო სისტემა და შრომის ბაზარი.

ცხრილში მოცემულია ინდექსის კრიტერიუმები, სადაც საქართველოს პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ცხრილი № 2.1

| **ინდექსის შეფასების კრიტერიუმები** | **ქულა** | | **პოზიციის ცვლილება** |
|---|---|---|---|
| | **2016** | **2017** | |
| დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩო | 4.0 | 3.5 | -26 |
| სასამართლოს დამოუკიდებლობა | 4.0 | 3.6 | -25 |
| ფავორიტიზმი მთავრობის გადაწყვეტილებებში | 3.5 | 3.3 | -12 |
| ბიუჯეტის ხარჯების არაეფექტურობა | 3.2 | 3.0 | -10 |
| ორგანიზებული დანაშაული | 5.8 | 5.4 | -12 |
| განათლების სისტემის ხარისხი | 3.3 | 3.0 | -12 |
| სასკოლო განათლების ხარისხი | 3.4 | 3.1 | -13 |
| ბიუჯეტის დეფიციტი (მშპ-ის %) | -1.2 | -1.6 | -16 |
| ანაზღაურება და პროდუქტიულობა | 3.9 | 3.6 | -20 |
| მთლიანი ეროვნული დანაზოგი | 21.7 | 19.4 | -22 |
| ინვესტორთა დაცვა | 6.8 | 7.7 | +13 |
| ვენჩურული კაპიტალი | 2.6 | 2.7 | +14 |
| საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა | 4.0 | 4.3 | +19 |
| ინფლაცია | 4.0 | 2.1 | +79 |

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი პოზიცია აქვთ რუსეთს, ყაზახეთსა და თურქეთს. საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა რუმინეთი (68-ე ადგილი), სომხეთი (73-ე ადგილი), ხორვატია (74-ე ადგილი), მონტენეგრო (77-ე ადგილი), სერბეთი (78-ე ადგილი), უკრაინა (81-ე ადგილი), საბერძნეთი (87-ე ადგილი), მოლდოვა (89-ე ადგილი), ბოსნია-ჰერცეგოვინა (მე-100 ადგილი) და სხვა.

2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: აშშ, სინგაპური, გერმანია, შვეიცარია და იაპონია. რეიტინგში ბოლო ადგილს ჩადი იკავებს.

**საქართველოს პოზიცია ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში 2012–2018 წწ.**

დიაგრამა 2.2.




როგორც 2.2. დიაგრამიდან ჩანს, ბოლო 4 წლის განმავლობაში ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში საქართველო საერთო მაჩვენებელს ამაღლებს, რაც ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე მიუთითებს. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით რეიტინგში დადებითი ცვლილება გამოწვეულია ინვესტორთა უფლებების დაცვის გაძლიერებით, აგრეთვე ელექტრონული საქმის წარმოების და-

ნერგვის შედეგად ექსპორტისა და იმპორტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმების დაჩქარებით და ცალკეული საგადასახადო პროცედურების, კერძოდ, დღგ-ს გადახდის წესის გამარტივების შედეგად.

ზოგადად, საქართველო ყველაზე ნაკლებკონკურენტულია უმაღლესი განათლების მხრივ, ტექნოლოგიებში, ინოვაციებში და ბაზრის ზომით.

საქართველოს ყველაზე რთული მდგომარეობა განსაკუთრებით ინოვაციების მიმართულებით აქვს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ის რეიტინგში 118-ე ადგილზეა. კომპანიების მხრიდან დაბალი ინოვაციურობის დონე კვლევაზე დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობასთანაა დაკავშირებული. ბაზრის მოცულობა (1 პოზიციით გაუმჯობესება) და ბიზნესის განვითარება ასევე რჩება პრობლემად, თუმცა სხვა მაჩვენებლებისგან განსხვავებით გვაქვს გარკვეული პროგრესი, ისევე, როგორც უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის მაჩვენებელში (2 პოზიციით გაუმჯობესება), რაც უდავოდ იმედის მომცემია.

საქართველომ მხოლოდ ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში გაიუმჯობესა პოზიციები. სხვა რეიტინგებში, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოკლებით (პოზიცია გაუარესდა 8 ერთეულით), მოხდა 1-3 ერთეულით პოზიციების უკან დახევა. ეს მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მსხვილი ინვესტორები სწორედ ასეთი ტიპის რეიტინგების შედეგების საფუძველზე იღებენ ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდების გადაწყვეტილებას.

გლობალური სამეწარმეო მონიტორინგი (GEM)-პირველად კვლევის პროგრამა ინიცირებული იყო 1997 წელს, რათა გამოეკვლიათ სამეწარმეო აქტივობის როლი ეროვნული ეკონომიკის ზრდის პროცესში. იგი შესაძლებლობას გვაძ-

ლევს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის სამეწარმეო აქტიურობის დონე, რომელი სამეწარმეო საქმიანობა განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს უწყობს ან უშლის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი სამეწარმეო პოლიტიკის შემუშავებას. 2014 წელს საქართველოს შესახებ პირველად გამოქვეყნდა კვლევა [24]. მონაცემები მიღებულია სხვადასხვა წყაროდან, მოზარდი მოსახლეობის გამოკითხვიდან, ეროვნული დონის ექსპერტების გამოკითხვიდან, დამატებითი წყაროებიდან (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გაერო).

სამეწარმეო აქტიურობის დონეს გლობალური სამეწარმეო მონიტორინგი იკვლევს სამი მახასიათებლის მიხედვით, ესენია: საზოგადოებრივი ღირებულებები, ინდივიდუალური მახასიათებლები და სამეწარმეო აქტივობის დონე.

აღნიშნულ კვლევაში მოცემულია საქართველოში არსებული საზოგადოებრივი ღირებულებები სამეწარმეო საქმიანობის მიმართ და შედარებულია სხვადასხვა ქვეყანას (იხ. ცხრილი №2.2)

საქართველოს მონაცემები სამივე მახასიათებლით მაღალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლებზე. შესაძლებელია ვთქვათ, რომ სოციალური კულტურა ხელს უწყობს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას.

ინდივიდუალური მაჩვენებლების მიხედვით, ეფექტიანობაზე დაფუძნებული ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ოთხიდან სამ კომპონენტში, საკუთარ შესაძლებლობების აღქმაში ქართველი ზრდასრული მოსახლეობა ნაკლებადაა დარწმუნებული, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობა.

ცხრილი № 2.2 [24]

| რეგიონი და ეკონომიკა | | მეწარმეობა როგორც კარგი არჩევანი კარიერისთვის | წარმატებულ მეწარმეებს გააჩნიათ მაღალი სტატუსი | მედიის ყურადღება მეწარმეებისაკენ |
|---|---|---|---|---|
| ევროკავშირი | ხორვატია | 63.3 | 46.6 | 40.4 |
| | უნგრეთი | 47.4 | 72.4 | 33.5 |
| | ლიტვა | 68.8 | 58.3 | 55.1 |
| | პოლონეთი | 63.3 | 56.5 | 54.5 |
| | რუმინეთი | 73.6 | 75.2 | 71.3 |
| ევროკავშირის ყველა ქვეყანა | საშუალო მაჩვენებელი | 56.9 | 66.6 | 53.3 |
| არა -ევროკავშირის ქვეყნები | ბოსნია-ჰერცოგოვინა | 78.1 | 69.9 | 39.8 |
| | საქართველო | **66** | **75.9** | **58.5** |
| | კოსოვო | 68.3 | 76.2 | 57.2 |
| | რუსეთი | 67.1 | 65.9 | 50.4 |
| ყველა არა-ევროკავშირის ქვეყანა | საშუალო მაჩვენებელი | 63.3 | 72.9 | 51.3 |
| საქართველოს პოზიცია წარმოდგენილ 9 ქვეყანას შორის. | | მე-6 | მე-2 | მე-2 |

სამეწარმეო აქტიურობის კუთხით საქართველოს არც თუ ისე კარგი მდგომარეობა აქვს. ზუსტად ამ კომპონენტში სჭირდება ქართულ სამეწარმეო ეკოსისტემას სახელმწიფოს დახმარება. მთავრობა და სხვადასხვა ინსტიტუტები უნდა შეეცადოს ფინანსური ხელმისაწვდომობის, საკანონმდებლო ბაზის, საგადასახადო შეღავათების და მეორე შანსის პოლიტიკის გაუმჯობესებას.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებაზე გავლენას ახდენენ როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორებია მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის არსებული დისბალანსი, ენერგომატარებლების ფასების ცვლილება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და სხვ,. შიდა ფაქტორებიდან აღსანიშნავია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, განვითარების დონე, ქვეყნის განვითარების სტრატეგია, საგადასახადო პოლიტიკა და სხვ.

კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების საფუძველია მიმდინარე ბიუჯეტის დაგეგმვა, რადგან სწორედ ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების და ვალდებულების შესრულებით ეტაპობრივად ხდება გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელება.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტენსიურად გატარებული რეფორმების შედეგად აღინიშნებოდა ეკონომიკის 5%-იანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან საქართველოში განხორციელდა 47 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით. მნიშვნელოვანი რეფორმებიდან აღსანიშნავია:

- ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება;

- „ერთი სარკმლის პრინციპი“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ შექმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის;
- საგადასახადო კოდექსის გამარტივება;
- ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დროისა და ღირებულების შემცირება.

სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო წარმოადგენს საშუალო შემოსავლის ქვეყანას. მისი მთლიანი შიგა პროდუქტი 2016 წელს 340285 მლნ. ლარს, 2017 წელს კი 37 846.6 მლნ. ლარს შეადგენდა (მხოლოდ 1,1-ჯერ გაიზარდა), მშპ ერთ სულზე 2016 წელს 9129.0 ლარს, ხოლო 2017 წელს - 10 152 ლარს შეადგენდა. შეიმჩნევა სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის შემცირება, რაც საქართველოს მთავრობის სოციალური პოლიტიკის შედეგია. აღსანიშნავია, რომ სოფლად სიღარიბე დაახლოებით ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში. სწორედ ამით აიხსნება პრიორიტეტებში სოციალური დანახარჯების დიდი წილი და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება წარმოების სტრუქტურების დინამიკურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით. ექსპორტის გაზრდა ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ხუთი მზარდი სექტორი: სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი და ფინანსური ინსტიტუტები.

მართლაც, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მსგავსი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. მსუბუქი ავტომობილები საქართველოდან რეექსპორტის ხარჯზე გა-

დის, მათი დიდი წილი ექსპორტში, ერთი მხრივ, ქართული მრეწველობის განუვითარებლობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი ხაზს უსვამს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის სიძლიერეს. სატრანზიტო ფუნქცია, საქართველოში თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად აქვს და იგი მნიშვნელოვანია არა მარტო, როგორც პოტენციური შემოსავლის წყარო, არამედ, როგორც, ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტიც, შესაბამისად, ამ ფუნქციის განსახორციელებლად საჭიროა ტრანსპორტის დარგისა და ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება, დარგში ინოვაციების დანერგვა და სათანადო პოლიტიკურ ნებაზე მუშაობა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოსაყენებლად. საკვანძო მნიშვნელობა აქვს სამკურნალო საშუალებების (სპეციალიზიბული გადამამუშავებლი მრეწველობა) ექსპორტს, სექტორში კვალიფიციური კადრის დასაქმების გათვალისწინებითა და ქვეყნის განვითარებაში დიდი როლის მქონე ჯანდაცვის სექტორთან მისი კავშირის გამო. სოფლის მეურნეობის სხვა ქვედარგებთან ერთად მეთხილეობას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს, მსოფლიოში თხილზე მოთხოვნა მატულობს, შესაბამისად, ამ მიმართულებას სათანადო პოტენციალი გააჩნია. ელექროგამტარებისა და თბოგამტარების დასამზადებლად გამოიყენება სპილენძი, რომელთაც საქართველოში არსებული ენერგორესურესების გათვალისწინებით დიდი გამოყენება უნდა ჰქონდეს, ფეროშენადნობი კი გამოიყენება ფოლადი - მანქანათმშენებლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნედლეულის დასამზადებლად, სათანადო გადამუშავების მრეწველობის არქონის გამო, ქვეყანიდან ექსპორტირდება შედარებით იაფი ნედლეული, ნაცვლად იმისა, რომ ჩაერთოს მათ სათანადო წარმოების ჯაჭვში, შესაბამისად, ნედლეულის ექსპორტი საქართველოს

ეკონომიკისათვის მისი წარსულისა და სამომავლო პერსპექ-ტივების გათვალისწინებით პრიორიტეტული ვერ იქნება, ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს მათი დამუშავების მასშტა-ბები, რაც, შესაბამისად, გადამამუშავებელი მრეწველობის წილის ზრდას გამოიწვევს.

ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი საქართვე-ლოსთვის ტრადიციული დარგია და ასევე უნდა დარჩეს. არსე-ბული პოტენციალის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მინე-რალური და მტკნარი წყლის ექსპორტი იმის გათვალიწინებით, რომ სასმელ წყალზე მოთხოვნა განუწყვეტლივ მატულობს, ქართული წყლების ბრენდები კარგადაა ცნობილი პოსტსოცი-ალისტური ქვეყნების ტრადიციულ ბაზარზე, ახალი ბაზრების ათვისება კი საქართველოს სამხრეთით არსებულ ქვეყნებში სასმელი წყლის დეფიციტის გამო დიდ სიძნელეს არ უნდა წარ-მოადგენდეს. ჰიდროენერგეტიკა საქართველოში ერთ-ერთი განვითარებადი დარგია, იგი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას, წარმოადგენს სუფთა და ჩვენს პირობებში იაფ ენერგიის წყაროს.

საფინანსო სისტემა საქართველოში ერთ-ერთ შედარები-თ გამართულ ინსტიტუტს წარმოადგენს, თუმცა არსებობს სუსტი მხარეები – საპროცენტო სარგებლის შედარებით მაღა-ლი განაკვეთები და გაცემული კრედიტების ვაჭრობის სექ-ტორზე კონცენტრაცია, რაც გამოსწორებას საჭიროებს. სა-ქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ინოვაციების დაბალი დო-ნით და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალი ცხოვ-რების სტანდარტით, ამიტომ ამ ფაქტების განმსაზღვრელი გა-ნათლებისა და ჯანდაცვის სექტორის განვითარება, მათი შე-მოსავლების გამომუშავების პოტენციალის გათვალისწინე-ბით, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტულ დარგებად უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, საექსპორტო საქონლის გრძელვადიან პე-რიოდში მწარმოებელი სექტორები, მშპ-ში მათი წილის გათ-

ვალისწინებით, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების განმაპირობებელ და ცხოვრების სტანდარტის ამამაღლებელ დარგებთან (ჯანდაცვა, განათლება) ერთად წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს, ბიუჯეტის შემოსავლების გრძელვადიან წყაროს, პროდუქტიული (საინვესტიციო) და არაპროდუქტიული (სოციალური) ხარჯების დასაფინანსებლად.

საერთოდ, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მთავარ პრობლემებად ისევ რჩება: დაფინანსების ხელმიუწვდომელობა, მუშაკთა კვალიფიკაციის შეუსაბამობა, ინფლაცია, გადასახადების რეგულაცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, ინფრასტრუქტურის არაადეკვატური უზრუნველყოფა, გადასახადების სიდიდე და სხვა ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტთა კვლევები, ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედარებითი ანალიზი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ჩვენს ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, დასაქმების დონის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას.

როგორც მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებაში მიღწეული წარმატებები, სტაბილური ბიზნეს გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია. ამასთან სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების მაღალ დონეს, ხოლო სულ უფ-

რო ნაკლები ბუნებრივ რესურსებს. ამის ნათელია მაგალითია იაპონია. ამდენად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. აუცილებელია სახელმწიფოს ზრუნვა ქვეყნის მოსახლეობის განათლების მაღალ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებთან ადაპტაცია და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ-აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები, რომლებმაც სწორედ ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია აირჩიეს და საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანობის მაღალ ხარისხს მიაღწიეს (სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი).

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ სავაჭრო საქმიანობის სფეროში ინტეგრაცია წარმოადგენს. მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის ზრდის შედეგად ქვეყნები სპეციალიზდებიან სწორედ იმ საქონლის წარმოებაში, რომლის წარმოებაშიც ისინი ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას არა მხო-

ლოდ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად, გლობალურ დონეზე.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესურსების ექსპორტს, რომლებიც გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში და ისინი უზარმაზარ შემოსავალს იღებენ იმპორტიდან.

საქართველოში ბოლო წლებში იმპორტის ექსპორტზე მეტობა მცირდება, კერძოდ, 2015 წელს იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ ჭარბობდა, 2016 წელს -3,4-ჯერ, 2017 წელს კი 2,9-ჯერ. ეს უდაოდ დადებითი ტენდენციაა, ექსპორტის წილი მნიშვნელოვნად იზრდება.

საქართველოში ექსპორტის ბოლო პერიოდის სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. 2016 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთი იყო: სპილენძის მადნები - 14,8%, თხილი - 8,5%, ფეროშენადნობები - 8%, მსუბუქი ავტომობილები - 7,9%, ღვინო - 5,4%, სამკურნალო საშუალებები - 5,1%, სპირტიანი სასმელები - 4,3%, ოქრო - 3,8%, აზოტოვანი სასუქები -3,1%, დანარჩენი - 35,3% [72].

2016 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული პროცენტში წარმოდგენილია დიაგრამაში 2.3.

2017 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთი იყო: სპილენძის მადნები - 15,4%, ფეროშენადნობები - 11,2%, მსუბუქი ავტომობილები - 8,6%, ღვინო - 6,3%, სამკურნალო საშუალებები - 5,1%, სპირტიანი სასმელები - 4,6%, მინერალური წყლები - 3,5%, თხილი - 3,0%, აზოტოვანი სასუქები - 2,8%, ოქრო - 2,6%, დანარჩენი - 36,8% [72].

**უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული**
**2016 წელს** (%)

დიაგრამა 2.3.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

2017 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული პროცენტში წარმოდგენილია დიაგრამაში 2.4.

ამგვარად, ექსპორტში მაინც მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა ჰქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა) განვითარებას.

უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

დიაგრამა 2.4.

**უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2017 წელს (%)**
**Share of major commodity positions by exports in 2017 (%)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექ-

ნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომსახურების სფეროს ისეთ კონკურენტულ დარგებზე, როგორიცაა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი და დაზღვევა. მათი განვითარება დაკავშირებულია ტურიზმთან. ტურიზმის განვითარებისათვის კი აუცილებელია ლიბერალური პოლიტიკის გატარება. სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს. სახელმწიფო თუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დააბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები.

ტურიზმი საქართველოს მზარდი სექტორია, მისგან მიღებული შემოსავლების წილი წლიდან წლამდე მატულობს, მატულობს დარგში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობაც, მიუხედავად ამისა, არსებული კონკურენციული გარემოს გათვალისწინებით, ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად, საჭიროა გამოწვევებისათვის შეუჩერებლად გამკლავება, - ინფრატრუქტურისა და სერვისის მუდმივი გაუმჯობესება, ტურიზმის ახალი მიმართულებების მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ტურიზმიდან შემოსავლის სახით 2.7 მილიარდი დოლარი მიიღო. 2018 წლის 11 თვეში საქართველომ ტურიზმიდან 3 მილიარდზე მეტი დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2017 წლის 12 თვის მონაცემებს აღემატება და რეკორდული მაჩვენებელია. ყველაზე მეტი თანხა ტურიზმიდან საქართველომ აგვისტოში მიიღო - 442.9 მილიონი დოლარი.

ჩვენ საუკუნეში ერები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. გლობალიზაცია და ინტერნეტ-ტექნოლოგიები არა მხოლოდ ტერიტორიულ, არამედ კულტურულ საზღვრებსაც შლის. დადგა მცირე ერების მრავალსაუკუნოვანი კულტურებისა და ტრადიციების გაქრობის საფრთხე, მაგრამ ისინი ვინც მოახერხებენ თანამედროვე ცივილიზაციას რაღაც განსაკუთრებული საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდი შესთავაზონ, ბუნებრივად აღმოჩნდებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ეს ტენდენციები უკვე შეიმჩნევა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები – მსოფლიოს სამეცნიერო და ფინანსური ცენტრი, იაპონია – მაღალი ტექნოლოგიების მაღალხარისხიანი მწარმოებელი, საფრანგეთი – მაღალხარისხიანი ღვინოების მწარმოებელი და ა.შ.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილია სამკურნალო რესურსების მრავალფეროვნებით, იგულისხმება ბიოაქტიური ენდემური სახეობები, სამკურნალო მინერალები და ტალახები. მეცნიერთა აზრით, ეს მრავალფეროვნება და ენერგეტიკა კავკასიონის ქედის შედარებით ახალგაზრდა ასაკით აიხსნება. ეს ენერგეტიკა უფრო ძლიერია მის სამხრეთ მზიან ფერდობზე. ამ რეგიონის მცენარეულ კულტურებში, მაგალითად, ყურძენში, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (მაგალითად ტანინი - ბუნებრივი ანტიოქსიდანტი) გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნების იდენტურ სახეობებში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის უნიკალური ბუნება, ამ მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა, მთები, მდინარეები, ტყეები, სხვადასხვა სახეობის მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მცენარეები, ღვინოთერაპიის, მაგნიტური ქვიშების და კიდევ მრავალი სხვა უნიკალური შესაძლებლობები, ეს ტერიტორია, ისე როგორც არცერთი სხვა, მიესადაგება იმას, რომ თანამედ-

როვე მსოფლიო მიღწევების გამოყენებით გახდეს მსოფლიოს ველნეს კურორტების ქვეყანა.

ველნეს ინდუსტრიაში გამოიყოფა უახლესი ნიშა - ველნეს კურორტების ახალი სამედიცინო იდეოლოგიით ამუშავება. სწორედ ველნეს ინდუსტრიის ამ მიმართულებით შესაძლებელია საქართველო გავიდეს მსოფლიო ბაზარზე და თავი დაიმკვიდროს როგორც სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყანამ.

საქართველოს ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა მისი სატრანზიტო ფუნქციაა, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები გავლენას ახდენენ საბანკო სისტემაზეც. მართალია, საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით ერთ-ერთ გამართულ სისტემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა დარგების ეკონომიკურ სისტემებს შორის, მაგრამ მათი ლიკვიდობის დონე და განხორციელებული ოპერაციები მაინც ვერ პასუხობენ გლობალიზაციის ეპოქის მოთხოვნებს. დღეისათვის კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე, რაც აჩვენებს საქართველოს კომერციული ბანკების სუსტ მონაწილეობას რეალური ეკონომიკის დაკრედიტებაში.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნების წარმოდგენის საშუალებას. კერძოდ, კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციონარული რეფორმები საკმარისი არ არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. მთავარ პრობლემებად რჩება: პოლიტიკური არასტაბილურობა და კონ-

ფლიქტური ზონების არსებობა; კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთები; საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები; სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა; კვალიფიკაციის შეუსაბამობა; ინფლაცია.

მიუხედავად ამისა, ინსტიტუციების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, უმაღლესი განათლების, შრომითი ბაზრის ეფექტურობისა და სხვა მიმართულებით საქართველოს პროგრესი მნიშვნელოვანია.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭიროა:

- მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტორებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და შენარჩუნება; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის თანამედროვე სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.
- მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა (საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, განაკვეთების ოპტიმალური დონე);
- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა (საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.);
- მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და მისი რეალიზაცია;
- კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს კონსულტირებისა და ტრენინგ -ცენტრების თანამედროვე სისტემა.

## თავი III

# სოციალური პასუხისმგებლობა - სოციალური მეწარმეობის განვითარების აუცილებელი წანამძღვარი

## 3.1. სოციალური პასუხისმგებლობა - მეწარმეობისადმი ახლებური მიდგომის საფუძველი

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი გულისხმობს ბიზნესის კეთილ ნებას უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს. სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიები ცდილობენ თავის საქმიანობაში სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები გაითვალისწინონ და საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ.

რაც უფრო წარმატებულია კომპანია, მას მეტი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია. წარმატებულთა რიცხვში კი ის კომპანიები ხვდებიან, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ ზეგავლენას.

საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის Next Consulting-ის გამოკვლევით, ევროპულ კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ამერიკულ კომპანიებში და ეს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკით არის გამოწვეული. ევროპულ ქვეყნებში ყველაზე მაღალი წილი სკანდინავიურ ქვეყნებს (დანია, შვედეთი, ნორვეგია, ისლანდია, ფინეთი) უჭირავთ, რომლებიც ცხოვრების და კეთილდღეობის დონით ლიდერები არიან მსოფლიოში.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ტენდენცია მხოლოდ ბოლო 10 წელია აქტუალურია. თუმცა მეცენატობასა და ქველმოქმედებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. 1870-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდნენ ახალი ფორმაციის ვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას. ამ პერიოდში გამოირჩევიან სარაჯიშვილებისა და ზუბალაშვილების სავაჭრო სახლები. ალ. ხანანაშვილი 1911 წელს გაზეთ „თემში" წერდა: არცერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობაში, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, ჟურნალ-გაზეთის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დამშვენება, ღარიბ-უძლურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება - ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს დავით სარაჯიშვილისა" [9, გვ. 51]. .

დავითი, გიორგი, მიქელ და ანტონ ზუბალაშვილები სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც იყვნენ, მაგრამ უმთავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო. „ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ" - სტეფანე ზუბალაშვილის (მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან და სხვებთან) მიერ მავანის მადლობის პასუხად თქმული ეს სიტყვები მისი საგვარეულოს ცხოვრებისეულ კრედოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ცნობილი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა გაიზარდა. კომპანიები ხშირად ეხმარებიან სოციალურად დაუცველ

მოსახლეობას, მიუსაფარ ბავშვებს, მართავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებსა და აქციებს, არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებენ გარემოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების დასაფინანსებლად და ა.შ.

ბოლო 10 წელია ბიზნეს სექტორი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

2015 წელს ქართულ მედია სივრცეში გამოვლინდა ტოპ 10 კომპანია, რომელთა სოციალური და საქველმოქმედო აქტივობები ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 3.1) [19, 424].

2015 წლის მონაცემებით პირველ ადგილზეა **„თიბისი" ბანკი** (17%), რომლის მიერ მხარდაჭერილი პროექტები მრავალფეროვანია - ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა, ნიჭიერი ახალგაზრდების განათლება და პროფესიული განვითარება, კულტურა, ხელოვნება, სოციალურად აქტუალური თემები, რაგბის პოპულარიზაცია და სხვა. 2015 წელს გამორჩეულია 20 ათასი ლარის გადარიცხვა სოლიდარობის ფონდში, რომელიც ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების დიაგნოსტიკასა და მკურნალობის დაფინანსებას მოხმარდა. მნიშვნელოვანია „თიბისი ბანკის" მიერ გაწეული კონტრიბუცია ახალი „მზიურის" მშენებლობისათვის.

მეორე ადგილზეა **„საქართველოს ბანკი"** (13%), რომელიც 2015 წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ფოკუსირდა. „სიცოცხლის ხის" აქტივობებში აღსანიშნავია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის დღესასწაულის გამართვა, შშმ პირებისთვის თბილისის ქუჩებში პანდუსების დაგება. გარდა ამისა, „საქართველოს ბანკის" მხარდაჭერით, პირველად საქართველოში, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს ადაპტირებული ტაქსი მოემსახურებათ.

### ქართულ მედიასივრცეში გამოვლენილ სოციალურ და საქველმოქმედო აქტივობებში ტოპ 10 ყველაზე რეზონანსული კომპანიის ხვედრითი წილი 2015 წელი

დიაგრამა 3.1




მესამე ადგილზეა **„ლიბერთი ბანკი“** (12%). 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისადმი გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიას აერთიანებს, მაგრამ „ლიბერთი ბანკის“ და „ენერგო პრო ჯორჯიას“ შემთხვევაში, სწორედ 13 ივნისის სტიქიას უკავშირდება ყველაზე დიდი სოციალური პროექტები.

**ვითიბი ბანკი** უკვე მეათე წელია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოში. სოციალური პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნული ბანკის წარმატება განპირობებულია არა მარტო ფინანსურად მომგებიანი პროექტებით, არამედ საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებით. ბანკი აქტიურად აფინანსებს სპორტს, რადგან ეს არის მომავალი ჯანსაღი თაობის საფუძველი, თანმიმდევრულად წლიდან წლამდე იზრდება დაფინანსება ამ მიმართულებით. 2015 წელს ვითიბი ბანკმა ჯამურად სამი მილიონი ლარი გაიღო, რადგან მიაჩნიათ, რომ სპორტის, კულტურის, საგანმანათლებლო და საქველ-

მოქმედო პროექტების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საზოგადოების წინსვლას და განვითარებას.

კომპანია **„თელასმა“** „კათარზისის“ მობინადრეებს საინტერესო შობა-ახალი წელი აჩუქა. ასევე „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ ორგანიზებით, მოზარდთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

**„ვისოლ ჯგუფში“** შემავალი კომპანიები საკმაოდ აქტიურად გამოხატავდნენ სოციალურ პასუხისმგებლობას 2015 წელს. „სმარტმა“ სოციალური საწარმოების სააღდგომო გამოფენა–გაყიდვას უმასპინძლა, „ვისოლ პეტროლიუმმა“ პროექტს – „წიგნი ყველა სოფელს“ გაუწია მხარდაჭერა, ხოლო „ვენდისმა“ ჯადოსნურ საახალწლო წარმოდგენაზე სოციალურად დაუცველ ბავშვებს უმასპინძლა.

კომპანია **„სოკარმა“** ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდთან „ნატვრის ხე“, ოფიციალური მემორანდუმი გააფორმა.

საქველმოქმედო ფონდმა **„ავერსი“** 2015 წელს აიღო ვალდებულება, ეროვნული ოლიმპიური ნაკრების წევრებსა და ვეტერან სპორტსმენებს გაუწიოს უფასო სამედიცინო მომსახურება „ავერსის“ კლინიკათა ქსელში, ასევე უფასოდ უზრუნველყოს მკურნალობისთვის საჭირო ყველა მედიკამენტით. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, კომპანია „ავერსმა“ სოციალურად დაუცველ 50-მდე ბავშვს „ზალიკოს ცენტრში“ უმასპინძლა.

გარემოს დაცვაზე მზრუნველ კომპანიებს შორის უნდა აღინიშნოს კომპანია **„ნატახტარი“,** რომელმაც მსხვილი ინვესტიცია განახორციელა წყლის გამწმენდი ნაგებობის შესაძენად. ნაგებობა გამოყენებულ წყალს მანამდე წმენდს, ვიდრე წყალი ჩამდინარე სისტემაში მოხვდება.

შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირების მხარდამჭერ პროექტებს შორის აღსანიშნავია კომპანია **„ნიკორას“** ინიციატივით ჩატარებული მედიაპროექტ „ეტალონის“ სპეციალური თამაშები, რომლითაც კომპანია ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პატარების რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრირების საქმეში წვლილის შეტანას. აღნიშნული კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის მხარდაჭერასაც გულისხმობს. ისინი ახდენენ სოციალურად დაუცველი ოჯახების კვების პროდუქტებით, ასევე სხვა აუცილებელი საოჯახო ნივთებითა თუ ფართით უზრუნველყოფას. სოციალური აქტივობების პარალელურად, კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებთან, მათ შორის „მომავლის გზასთან“, „იავნანასთან“, „კათარზისთან“, წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებასთან და თანამშრომლობის ფარგლებში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებს კვების პროდუქტებით ამარაგებენ.

კომპანიამ **„ბორჯომი“** აიღო სოციალური პასუხისმგებლობა ჩამოეყალიბებინა საქართველოში ერთადერთი ფონდთან „ჩვენი ბორჯომისათვის“ არსებული ბავშვთა და ახალგაზრდობის ტრენინგ ცენტრი, სადაც უდაოდ დიდი საქმე კეთდება ბორჯომელი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც აქ სრულიად უსასყიდლოდ ეუფლებიან უნარებს, მათემატიკას, ინგლისურს და ა.შ. იმ საგნებს, რომლებიც მათ სჭირდებათ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ეს არის უაღრესად კეთილშობილური სოციალური მისია კომპანია „ბორჯომის“ და სხვა წარმატებული კომპანიებიც თუ მას მიბაძავენ, ეს დიდ გავლენას მოახდენს ჩვენი ახალგაზრდობის ორიენტაციაზე მიიღონ სრულფასოვანი განათლება. თუმცა

კომპანია „ბორჯომი“-ის სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ აქტივობით არ შემოიფარგლება.

2017 წელს „აიფიემ კვლევების“ მიერ გამოქვეყნებული **TOP-10** კომპანია ასე გამოიყურება: ლიბერთი ბანკი, ვითიბი ბანკი, არემჯი, ქართული ლუდის კომპანია, $m^2$ უძრავი ქონება, სილქნეტი, ევექსი, ვისოლ პეტროლიუმი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დაჯილდოების ცერემონია საქართველოში პირველად 2018 წელს ჩატარდა. ღონისძიების ინიციატორები CSR კლუბი და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი არიან.

2018 წელს, „სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო 2018“-ის გამარჯვებული **$m^2$ უძრავი ქონება** გახდა. კომპანიამ ჯილდო ნომინაციაში - წარმატებული პარტნიორობა მდგრადი განვითარებისათვის მიიღო. პროექტი მთაწმინდის ნახანძრალი ფერდობის აღდგენას, ადგილზე ბიომრავალფეროვანი და თვითგანახლებადი გარემოს შექმნასა და მის ფარგლებში საგანმანათლებლო კამპანიას მოიცავს. პროექტის ფარგლებში 3 ათასი ხე-მცენარის ჩარგვასთან ერთად, 3 წლის განმავლობაში ნარგავების მოვლასაც დააფინანსებს. კომპანია პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად იწყებს ხანძრის პრევენციის კამპანიას სკოლებში. დაწყებულია რისკების შემცირების კამპანია საცხოვრებელ კომპლექსებში.

სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ მწარმოებელ კომპანიებს შორის ლიდერია **სს „ქართული ლუდის კომპანია“.** კომპანიაში დასაქმებულთა 70 % იძულებით გადაადგილებული პირია. ამიტომ წარმოება თავად არის წარმატებული სოციალური პროექტი.

სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ საქართველოში კვლავ გამოირჩევა სამი უმსხვილესი ბანკი: თიბისი, საქართველოს ბანკი და ლიბერთი ბანკი.

2018 წელს **„თიბისი ბანკის“** სოციალური პასუხისმგებლობის საშუალო წლიური ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი პრიორიტეტებია: ლიტერატურა; ხელოვნება (სახვითი ხელოვნება, კინო, ფოლკლორი, ფოტოგრაფია); კულტურული ძეგლები, მუზეუმები; სოციალური პროგრამები; შიდაკორპორატიული სოციალური პროექტები.

საყოველთაოდ ცნობილი პროექტებია: ლიტერატურული პრემია „საბა“, თიბისი ფონდი, თიბისი გალერეა, საერთაშორისო ფოტოფესტივალი „ქოლგა“, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „გარიყულა“, შიდა სოციალური პროექტი - თბილისელები თბილისელებისათვის და სხვ.

**„საქართველოს ბანკი“** კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას ძირითადად, ფონდ „სიცოცხლის ხის“ მეშვეობით ახორციელებს. უკვე განხორციელებულია 60-ზე მეტი პროექტი, რომელთა საერთო დაფინანსებამ 3 მლნ ლარს გადააჭარბა. პერიოდულად ცხადდება საგრანტო კონკურსებიც, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის პირების დასახმარებლად აქტიურად ერთვებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები თუ სხვა შესაბამისი დაწესებულებები. ფონდი საქართველოში სოციალური მეწარმეობის აქტიური მხარდამჭერიცაა.

**„ლიბერთი ბანკის“** მუდმივმოქმედი სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში მემორანდუმი გაფორმდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, რომლის ფარგლებშიც 50-ზე მეტი მიუსაფარ ბავშვთა სახლის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრული ანაზღაურება ბანკმა უზრუნველყო. „ლიბერთი ბანკის“

ხელშეწყობით საგურამოში, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დღის ცენტრი გაიხსნა. ასევე ბანკი ონლაინ განათლების ხელშეწყობის პროგრამაში ჩაერთო. 2014 წლიდან მოქმედებს სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერის პროგრამა, რომელმაც ფონდის ანგარიშზე 600 ათას ლარზე მეტი გადარიცხა.

როგორც ვხედავთ, საქართველოში კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად ქველმოქმედებაში და მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში გამოიხატება. თუმცა კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობას ასევე სხვადასხვა სფეროების მხარდაჭერითაც გამოხატავენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნესის სოციალური პასუხიმგებლობის ხარისხი და სტრუქტურა საქართველოში მეტისმეტად ქაოსური და უსისტემო ხასიათისაა. თუ ვინმე სთხოვს დახმარებას ამა თუ იმ კომპანიას, ასეთ შემთხვევას განიხილავს და წყვეტს დაეხმაროს თუ არა მას. რეალურად კომპანია თავად უნდა ირჩევდეს პრიორიტეტს. ვთქვათ, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, ტრადიციების შენარჩუნებას და ა.შ. უნდა შეირჩეს სოციალური პასუხისმგებლობის ფორმა. შემდეგ ამ მიმართულებით კომპანიამ უნდა განავითაროს გრძელვადიანი პროგრამა. პროგრამული მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ სჭირდება გრძელვადიანი გეგმა. სწორედ ასეთი პროგრამული მიდგომის ნაკლებობაა საქართველოში, დიდმა კომპანიებმა უკვე დაიწყეს სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით გარკვეული პრიორიტეტების გამოყოფა. ქართული კომპანიები დიდი სოციალური პროგრამების განხორციელებას ძირითადად საკუთარი რესურსების ხარჯზე ცდილობენ, მათ ქმედებას ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი საქველმოქმედო სახე უფრო აქვს, ვიდრე სისტემური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტის. რაც შეეხება სოციალური პასუხისმგებლობის კომპეტენტურად განხორციელებას. ხშირ შემთხვევაში კომპანია თავად ახორ-

ციელებს მას. კომპანიებს ურჩევნიათ საკუთარი რესურსებითა და სტაფით იმუშაონ, ვიდრე ტენდერი გამოაცხადოს, შეარჩიოს მესამე მხარე, დაიქირაოს მათი მომსახურება და ა.შ. პრობლემაა არაადექვატური კომუნიკაციაც. ქველმოქმედების ან რაიმე ერთჯერადი პროექტის სისტემატური გაშუქება ხშირად გამაღიზიანებელი ხდება.

2007 წელს საქართველოში შეიქმნა გაეროს პროგრამა „გლობალური შეთანხმების“ ქართული წარმომადგენლობა „გლობალური შეთანხმება – საქართველო“. დღეისათვის მისი წევრი 40-მდე ადგილობრივი ორგანიზაციაა. მისი მიზანია საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემის პოპულარიზაცია და საერთაშორისო სოციალური ანგარიშების წარმოების პრაქტიკის დანერგვა.

საქართველოში უკვე არსებობს სოციალური ანგარიშების წარმოების პრეცედენტები. კომპანიებმა - „ბრიტიშ პეტროლიუმ ჯორჯია“, „ვისოლი“, „ნატახტარი“ - უკვე შექმნეს პირველი ქართული სოციალური ანგარიშები.

სოციალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მასშტაბური საქმიანობაა. ზოგიერთ ქვეყანაში კანომდებლობით განსაზღვრულია საგადასახადო შეღავათები. ამიტომ, სოციალური პასუხისმგებლობა დამატებითი მოტივაციაა კომპანიებისთვის. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა. გარკვეული შეღავათების არსებობა სტიმულს მისცემდა კომპანიებს გრძელვადიანი სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის.

ამგვარად, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ბიზნეს კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ანალიზიდან ჩანს, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას (CSR) შეუძლია ცალკეული სფეროების პრობლემების მოგვარება, შესაბამისად საჭიროა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება. თავის

მხრივ, CSR-ის პოლიტიკის ხელშეწყობით საქართველოს მთავრობას მიეცემა შესაძლებლობა მოაგვაროს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი შობადობა, საქმიანობის სხვადასხვა საერთშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა - ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის, პროდუქციაზე პასუხისმგებლობის და ა.შ. ასევე CSR-ის განვითარებას შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებაში, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება როგორც ინვესტიცია, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ გვსურს მოვიზიდოთ ინვესტორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან, რადგან მათი მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების შესრულებას. გარდა ამისა, CSR-ის შემადგენელი კომპონენტის, კერძოდ პროდუქციისა და სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გასვლას. CSR განვითარება მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მიწოდების ჯაჭვებში.

ამრიგად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემა-

ზე. საჯარო სექტორმა უნდა განახორციელოს მართებული ნაბიჯები იმისათვის, რომ კერძო სექტორმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის CSR შეიძლება გახდეს ის მძლავრი იარაღი, რომელიც შეძლებს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას.

## 3.2. სოციალური მეწარმეობის თავისებურებები და მისი განხორციელების შესაძლებლობები საქართველოში

სოციალური მეწარმეობა სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. დღეისათვის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სულ უფრო მეტად აძლიერებს ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ გადასვლის ტენდენციას. სოციალური მეწარმეობის იდეა მსოფლიო მასშტაბით მკვიდრდება. ეს, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ სოციალური პრობლემებისთვის მხარდაჭერის კონცეფცია დაკავშირებულია სამეწარმეო ინიციატივების იდეასთან, მიზანმიმართულ ორგანიზაციასა და კომპანიის სახელით ხარჯების მოწესრიგებულ მართვასთან. ასეთი კონცეფცია პასუხობს მოძრაობას, რომელიც აცნობიერებს, რომ სახელმწიფოები, ადმინისტრაციები და არსებული სოციალური ორგანიზაციები გარკვეული ტიპის პრობლემების გადაჭრისათვის ნაკლებად იბრძვიან; შეიძლება იმიტომ, რომ ისინი არაეფექტიანად ფუნქციონირებენ, უფრო ორგანიზაციის ადმინისტრირებით არიან დაკავებულნი, ვიდრე სოციალური საჭიროების დაკმაყოფილებით ან, უბრალოდ, ხისტი და მოძველებული არიან. ჩვენ გვჭირდება „სოციალური მეწარმეები", რომლებიც ახალი კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ მიდგომებს გამოძებნიან და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ [46, გვ.209].

აშშ-ში სოციალური საწარმო ჩამოყალიბდა როგორც მომგებიანი ბიზნესი, რომელსაც გარკვეული სოციალური მიზნები გააჩნია. მისი გამომწვევი მიზეზი იყო სოციალური ტიპის პრობლემები, რომელიც არსებობდა სოციალური დაცვის სახელმწიფო მოდელში. თუმცა არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა

მიმართულია კონკრეტული სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

ევროპაში სოციალური მეწარმეობის უფრო გვიანი განვითარების მიზეზი იყო შედარებით მოწესრიგებული სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უფრო დაბალი დონე. ევროპაში პირველი სოციალური საწარმო იტალიის კოოპერატიული მოძრაობიდან იღებს სათავეს. 1991 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც შემოიტანა კოოპერატივების ახალი, სპეციალური ფორმა „სოციალური კოოპერატივი". სოციალურ მეწარმეობას ევროპაში დღესაც დიდი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლების მხრიდან. სოციალური საწარმოები მრავლადაა ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში.

ტერმინი „სოციალური მეწარმეობა" ახალია (სათავეს მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს), თუმცა არა თავად კონცეფცია. სოციალური მეწარმეები ყოველთვის არსებობდნენ. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გერმანიაში (ბეთჰელში) ფრიდრიხ ფონ ბოდელშვინგმა შექმნა ორგანიზაცია – მსოფლიოში ცნობილი სოციალური საწარმო, რომელიც ფუნქციონირებდა ეკონომიკური პრინციპების შესაბამისად და ამუშავებდა საკუთარ სახელოსნოს, ელექტრო და წყალმომარაგებას, საკუთარ სკოლებსა და ტრენინგცენტრებს.

მსოფლიოში სულ უფრო მეტმა ორგანიზაციამ დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა (შშპ) და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. სოციალური მეწარმეობის განვითარება გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით.

სოციალური მეწარმეობის ძირითადი რგოლია სოციალური საწარმო. მას აქვს გამოკვეთილი სოციალური მიზანი და თავისი საქმიანობით მიღებულ შემოსავალს იყენებს საკუთარი მისიისა და სოციალური მიზნების რეალიზაციისათვის.

სოციალური საწარმოს ერთიანი განმარტება არ არსებობს, ძირითადად გამოიყენება დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ შემოღებული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და რომელიც ახდენს რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში სოციალური მიზნების მისაღწევად. ბიზნესისაგან განსხვავებით, მისი მამოძრავებელი არ არის მოგების გაზრდა მეწილეებისთვის და მფლობელებისთვის“ [84].

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოების ინვესტორი კომპანია არ იღებს მოგებას, მოგების მიღების შემთხვევაში კი ხდება მისი საწარმოში რეინვესტირება. თუმცა, ამავე დროს, სოციალური საწარმო არ გამორიცხავს მოგების მცირე ნაწილის გადანაწილებასაც, რომელიც არ გულისხმობს პირადი მოგების ზრდისკენ სწრაფვას.

სოციალური საწარმო ზომის მიხედვით შეიძლება იყოს მცირე, საშუალო და მსხვილი. სოციალური მეწარმე ჩვეულებრივი მეწარმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სამეწარმეო რისკს იღებს მისი ორგანიზაციის ბენეფიციარების სასარგებლოდ, მაშინ როდესაც მეწარმეები რისკს იღებენ საკუთარი ან ბიზნესის მფლობელების სასარგებლოდ [34, გვ. 13].

საქართველოში ისტორიულად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საკმაოდ სტაბილური და კარგი ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. ამის მაგალითია

უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებების ეკონომიკური განვითარების ისტორია საბჭოთა წლებში [52, გვ. 489].

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება დაარსდა XX საუკუნის 20-იან წლებში უსინათლოთა ერთი ჯგუფის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საბჭოთა საქართველოს მთავრობის მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ არსებობდა, საზოგადოების შემოწირულობების შედეგად საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა, რამაც შესაძლებელი გახადა თბილისში გახსნილიყო ჯაგრისების საამქრო. 1929 წლისთვის ამ საამქროში 20 უსინათლო მუშაობდა. თანდათანობით საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა. 60-იანი წლებისათვის მარტო თბილისში სამი დიდი კომბინატი ფუნქციონირებდა, სადაც ძირითადად უსინათლოები იყვნენ დასაქმებულნი. შეიქმნა საწარმოები ყველა მსხვილ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. ძირითადი საქმიანობა და პროფილური მიმართულება იყო ელექტროტექნიკური ინვენტარის, პოლიეთილენის საქონლისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება. XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის უსინათლოთა საწარმოებში 2500-მდე უსინათლო იყო დასაქმებული, ხოლო უძრავი ქონების სახით ორგანიზაცია მრავალმილიონიანი კაპიტალს ფლობდა. ეკონომიკური აღმავლობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ უსინათლოთა სახსრებით აიგო საცხოვრებელი კორპუსები, სამკურნალო კლინიკები, შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დასასვენებელი ქსელი.

ერთ-ერთი წარმატებული საწარმო იყო ზესტაფონის „უსინათლოთა საზოგადოება," სადაც ძირითადად დასაქმებული რაიონში მცხოვრები უსინათლო პირები იყვნენ. საწარმოში მზადდებოდა პოლიეთილენის საცობები და პარკები. პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა,

1980-1985 წლებში შრომის ნაყოფიერება 29 %-ით, ფონდუკუგება 15%-ით, მოგება კი 3-ჯერ გაიზარდა. საწარმოს პროდუქცია იყიდებოდა როგორც ზესტაფონის რაიონში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. საწარმოში დასაქმებული იყვნენ უსინათლო ადამიანები, რაც ხელს უწყობდა აღნიშნული პირების ინტეგრაციას რაიონის სამრეწველო ცხოვრებაში. საწარმოში მუშაობდა დაახლოებით 80 კაცი, რაც შეადგენდა რაიონის შრომისუნარიანი მოქალაქეების 0.25 % -ს, საშუალო ხელფასი შეადგენდა 300 მანეთს (იმდროინდელ 510 აშშ დოლარს).

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში უსინათლოთა საზოგადოება კრიზისში აღმოჩნდა. შეჩერდა საწარმოთა უმრავლესობა, ზოგიერთი მათგანი გასხვისდა და დღეისთვის ერთ დროს ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი თავით ორგანიზების შედეგად ახერხებდა სამუშაო ადგილების შექმნას, მწვავე უმუშევრობის წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის მონაცემებით, დღეისთვის აღრიცხვაზე იმყოფება 3500-მდე უსინათლო და მცირე მხედველი პირი, ეს ის ადამიანები არიან, რომელთა ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში პრაქტიკულად დაუბრკოლებლად შეიძლება.

საინტერესოა ასევე საქართველოს ყრუ მუნჯთა საზოგადოების ისტორია. ეს ორგანიზაციაც XX საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა. ამ დროისთვის საბჭოთა მთავრობას შექმნილი ჰქონდა გარკვეულ შეღავათთა სისტემა, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც უსინათლოები, ასევე ყრუ-მუნჯები. ყრუ მუნჯთა საზოგადოების წევრები ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ საზოგადოების ბაზაზე შექმნილ საწარმოებში, რომლებიც საკმაოდ შემოსავლიან საწარმოებად ითვლებოდნენ.

წარსულში მარტო თბილისში მუშაობდა სამი საწარმო, მათ შორის საავიაციო ქარხანა, რომლებშიც ყრუ-მუნჯები იყვნენ დასაქმებულნი. სისტემა იმდენად კარგად იყო დაგეგმილი, რომ შესაბამისი სწავლა-განათლების, ადაპტაციისა და უნარების შეძენის შემდეგ ყრუ-მუნჯები იოლად საქმდებოდნენ. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ არა მხოლოდ სამუშაოთი, არამედ საცხოვრებელი ბინებითაც.

ამჟამად უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მფლობელობაში არსებული საწარმოები გაჩერებულია და ბევრ მათგანთან დაკავშირებით ქონებრივი დავები მიმდინარეობს. არადა ეს საზოგადოება ახლაც კი ფლობს ისეთი რაოდენობის უძრავ ქონებას, რომ მისი ამოქმედების შემთხვევაში წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებს დასაქმებას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალურ მეწარმეობას მდიდარი ისტორიული საფუძველი აქვს.

სოციალური მეწარმეობის აქტიური განვითარება მსოფლიოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, ხოლო საქართველოში XXI საუკუნის დასაწყისიდან თუმცა აღსანიშნავია ის, რომ სოციალური დაცვის მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ 1990 წელს დაფუძნდა „სოციალური თერაპიის სახლი“ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. იგი ხელს უწყობდა განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ინდივიდუალურ განვითარებასა და სოციალურ ინტეგრაციას მათი ჩართვით შრომით, მხატვრულ და კულტურულ აქტივობებში. აღნიშნული საწარმო მომხმარებელს სთავაზობს სანთლის, ხის, თექის და ქაღალდის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ დეკორატიულ ნივთებს, ტექსტის აკრეფა-დიზაინ-დაკაბადონებას, ფლაერებისა და კატალოგების ბეჭდვას.

ბოლო პერიოდში სოციალური მეწარმეობა – ბიზნესი სოციალური მისიით, საქართველოშიც სულ უფრო პოპულარული ხდება. სულ უფრო მეტმა ორგანიზაციამ დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა (შშპ) და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. სოციალური მეწარმეობის განვითარება გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით.

საქართველოში სოციალურ საწარმოებში დასაქმებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებულები, პრობაციონერები და ასევე სოციალურად დაუცველები. ისინი აწარმოებენ პროდუქციას ან მომსახურებას და შესაბამისად იღებენ შემოსავალს. სოციალური მეწარმეები ინოვაციური მიდგომებით და ბიზნეს სტრატეგიებით აგვარებენ საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს.

ამგვარად, საქართველოში სოციალური მეწარმეობის მიზნები შეიძლება ასე გამოიკვეთოს:

- შშპ და სოციალურად დაუცველებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების მიღება;
- პროდუქტებისა და სერვისის მიწოდება მოსახლეობის ძალიან ღარიბი ფენებისათვის;
- მარგინალური (დაბალი სოციალური სტატუსის) ჯგუფის მიერ წარმოებული პროდუქტის/სერვისის გაყიდვა;
- სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ბიზნესი [85].

გერმანელი მეცნიერი, ავტორი წიგნისა „გონება ამარცხებს კაპიტალს“, გიუნტერ ფალტინი მეწარმეებს ჰყოფს სოციალურ და ბიზნესმეწარმეებად. თუმცა მისი

აზრით, მათ შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ხალხი ფიქრობს. სოციალური მომსახურებისათვის საბიუჯეტო შემცირებები აიძულებს სოციალურ მეწარმეებს, უფრო ხშირად გამოიყენონ ეფექტიანობისა და ბაზრის ორიენტაციის მეთოდები. მაშინ, როდესაც ინფორმაციის გაზრდის, გამჭვირვალობის, კონკურენციისა და შედარების შესაძლებლობები აიძულებს ბიზნესმეწარმეებს, აწარმოონ კარგი პროდუქცია და კეთილსინდისიერად მოემსახურონ მომხმარებელს, თუ სურთ ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატება [46, გვ.15].

განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ მეწარმეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სოციალური საწარმოები ძირითადად კოოპერატივის (საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი) სახით ყალიბდებიან. საქართველოში მათ განსაკუთრებული იურიდიული ფორმა არ გააჩნიათ. სოციალური მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა იურიდიული ფორმით. საქართველოს კანონმდებლობით „სოციალური მეწარმეობა“, როგორც ტერმინი განმარტებული არ არის, შესაბამისად, იურიდიული საკითხების განხილვისას გამოიყენება ტერმინი მეწარმეობა.

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით 2009 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა სოციალური მეწარმეობის ცენტრი, რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობის ცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა საქართველოში. აღნიშნული ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გა-

მარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს პერიოდულ კონსულტაციებს. სოციალური მეწარმეობის ცენტრის მისიაა სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებს [85].

სოციალური საწარმო შეიძლება დაფუძნდეს ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმით. ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული ფორმა იქნება სოციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 700 ათასი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია. ერთი ფერმის საშუალო ფართობია 2,3 ჰა. ასეთი მცირე მასშტაბები მნიშვნელოვნად აძვირებს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ართულებს ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას ბაზარზე. სწორედ ამიტომ ეკონომიკური ექსპერტების და ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაც საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარებაა. ამ მიზანს ემსახურება 2013 წლის 12 ივლისს მიღებული კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც კოოპერატივების მიღების წესსა და მისთვის დაწესებულ შეღავათებს ითვალისწინებს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ინტენსიური პროცესი უკვე დაიწყო. დღეისათვის 1600 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი. ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული, ამ სფეროს მოდერნიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე სოციალური საწარმოს დაფუძნებას რიგი

უპირატესობა ექნება, კერძოდ, ასეთი საწარმო სარგებლობს უპირატესობით მიიღოს გრანტი; განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლა-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები; იგი ითვლება კრედიტუნარიანად და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია; არ იბეგრება ქონების გადასახადით; მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 ათას ლარს შეადგენს; ისინი სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისათვის მაღალმთიან რეგიონში წევრთა რაოდენობა 3-ზე, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს [22]. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება, დაფასოება, შეფუთვა და რეალიზაცია. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს: მარცვლეული კულტურების წარმოების, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, რძის გადამუშავების, სოკოს წარმოების, თხილის კულტურის მოშენების, პროდუქციის შესანახი სასაწყობე მეურნეობების მოწყობის, რეალიზაციისათვის საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტების სადისტრიბუციო ქსელის შექმნის კოოპერატივები. უცხოური გამოცდილების მიხედვით, თუ ასეთ კოოპერატივში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 30% იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან სოციალურად დაუცველები, ის შეიძლება ჩა-

ითვალოს სოციალურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად.

კვლევამ გვიჩვენა, რომ 2017 წლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 70 სოციალური საწარმო. საქართველოში სოციალური მეწარმეობის აქტუალიზაცია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მოხდა. ეს საწარმოები სწორედ მათი საგრანტო პროგრამების საშუალებით დაფუძნდა. საქართველოს კანონმდებლობით გრანტის მიღების უფლება არ აქვთ მოგებაზე ორიენტირებულ იურიდიულ პირებს, თუ ის საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის. ამდენად, სოციალური მეწარმეობით მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები არიან დაკავებულნი.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, სოციალური საწარმოების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2015-2017 წლებში, კერძოდ, 2015 წელს გაიხსნა 15, 2016 წელს - 16 სოციალური საწარმო, 2017 წელს, 10 სოციალური საწარმო.

სოციალური საწარმოების ნახევარზე მეტი (41) თბილისშია; ქუთაისი -3; გორი, მცხეთა (წეროვანი), დუშეთი, სიღნაღი -2-2; კასპი, ბორჯომი, ონი, ოზურგეთი, ყაზბეგი, ლაგოდეხი, თელავი, თეთრიწყარო 1-1.

სოციალური საწარმოების საქმიანობის სფეროები მრავალგვარია და მათი სოციალური მისია სხვადასხვა სფეროს მოიცავს. მაგრამ სოციალური საწარმოების უმთავრესი ფუნქცია მაინც შრომით ბაზარზე განსაკუთრებით არაკონკურენტუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაა.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა 30%-ზე მეტი ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოებაზე, კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა, სხვადასხვა სახეობების ბიოპროდუქტების წარმოება, სვანური მარილი „ზესხო", ჩაი სახელწოდებით „სამეფო", ნატურალური თაფლი, ჩურჩხე-

ლები, მურაბები, ვაშლის წვენი, ვაშლის ძმარი, ნამცხვრე-ბი, სალათები, ჯანსაღი კვების პროდუქტები (ლანჩ მე-ნიუ, ტკბილეული, სასმელი და სხვ.) და სხვ.

**სოციალური საწარმოების რაოდენობა 1990-2016 წლებში**




სოციალურ საწარმოთა 15%-ში მზადდება: უვნებელი, ანტიალერგიული, ეკოლოგიური საღებავებითა და ზეთე-ბით დამუშავებული და შეფერილი ხის სხვადასხვა ტიპის სათამაშო, ნატურალური ხის პროდუქცია, ხალხური რეწ-ვის ნიმუშები, მინანქრის სამკაულები, სამუზეუმო ექსპო-ნატების მოტივებსა და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამკაულების მოტივებზე შექმნილი აქსესუა-რები, თექის, ტექსტილის, კერამიკის ნაწარმი.

საქართველოში სოციალური საწარმოთა 36% სხვა-დასხვა ტიპის მომსახურებასაც ეწევიან, კერძოდ, ავტო-მობილების შეკეთების ფართო სერვისი, სოციალური ტაქსი, რომელიც ეტლით მოსარგებლე და სხვა შეზღუ-

დული შესაძლებლობების პირებს ემსახურებიან, სატრენინგო მომსახურება, ხანდაზმულთა უზრუნველყოფა საბაზისო საცხოვრებელი პირობებით და სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, უსინათლოთათვის ინფორმაციასა და სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა (აუდიო წიგნი, CD და DVD დისკების სახით) და სხვ.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა ნაწილი მიმართულია როგორც პროდუქციის წარმოებაზე, ისე მომსახურებაზე.

სოციალური მეწარმეობის ცენტრის მონაცემებით წარმატებული სოციალური საწარმოებია: ავტო სერვის ცენტრი „ავტოლაიფი“ (ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი), „არბო“ (ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო სათამაშოების წარმოება), სათემო ორგანიზაცია „ლელი“ (ნატურალური თაფლის წარმოება), „იკორთა“ (ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება), „რეას ციყვები“ (ჯანსაღი კვების პროდუქტების წარმოება). ეს საწარმოები ახერხებენ დაფარონ საკუთარი ხარჯები და მიიღონ მოგება [85].

2016 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისა და ASB საქართველოს ერთობლივი ორგანიზებით, „ევროკავშირისა“ და „პური მსოფლიოსთვის“ ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა სოციალური მეწარმეობის ფორუმი - 2016.

ფორუმის მიზანი ქართველ სოციალურ მეწარმეებსა და ამ თემით დაინტერესებულ პირებს შორის კავშირურთიერთობის გაღრმავებაა, ფორუმი ყოველწლიურ ხასიათს ატარებს და ის 2012 წლიდან იმართება.

2016 წლის ფორუმზე, პირველად, გამოვლინდნენ გამარჯვებულები ნომინაციებში „წლის სოციალური საწარმო“ და „წლის START UP სოციალური საწარმო“. აღნიშნულ ნო-

მინაციებში გამარჯვებულები გახდნენ სოციალური საწარმო „ჰერა“ და „არაბული Art-house“. ნომინირებული სოციალური საწარმოებიდან „ფოთის პორტის“ რჩეული გახდა ეტლების საწარმო.

სოციალური საწარმო „ხმის ჩამწერი სტუდია ჰერა“, ჩამოყალიბებულ იქნა 2011 წლის ნოემბერში აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ–მუნჯთა კავშირ „ჰერა“–ს მიერ, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) სახსრებით. საწარმოს სოციალურ მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და უსინათლო, მცირემხედველი, ყრუ და სმენადაქვეითებული ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობა ლიტერატურასა და ინფორმაციაზე, ხოლო ეკონომიკურ მისიას წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მოგების ნაწილის რეინვესტირება ამ საწარმოში. სოციალურმა საწარმომ ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2012 წლის მარტში. მის მიერ გამოშვებული აუდიო და მულტი წიგნები იყიდება საქართველოში არსებულ წიგნის მაღაზიათა ქსელებში (შპს „ბიბლუსი“, შპს „პარნასი“, შპს „ლატერნა“, შპს „ლიბრა“, შპს „სანტა ესპერანსა“, შპს „ბუქსითი“, შპს„ წიგნის სამყარო“, შპს „წიგნის სახლი ბახტრიონზე“ და სხვა). ამჟამად აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“-ში დასაქმებულია 15–მდე ბენეფიციარი, აქედან 8 – დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, დანარჩენები ომის ვეტერანები და ომის ინვალიდები.

სოციალურ საწარმოს დღეისათვის გამოშვებული აქვს 213 –მდე სხვადასხვა ჟანრის აუდიო წიგნები და ვიდეო კომიქსები (მულტი წიგნები) ქართულ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე, რომლებსაც ახმოვანებენ ცნობილი და პოპულარული მსახიობები. აუდიო წიგნების გარკვეული ნაწილი უსასყიდლოდ გადაეცათ ქ. თბილისის №202 საჯარო სკოლას

(უსინათლოთა სკოლა–პანსეონი), ხოლო მოხალისეების დახმარებით მოხერხდა ჩატანა დე ფაქტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

სოციალური საწარმო „არაბული Art-house“ ხევსურეთში, სოფელი კორშაში 2016 წლის 3 ივლისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით გაიხსნა.

ეს საწარმო ერთდროულად აერთიანებს კულტურის ცენტრს, ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნოსა და სასწავლო ცენტრს. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ახალგაზრდები სწავლობენ ტრადიციულ ხევსურულ ხელსაქმეს - ფარდაგის ქსოვას, ქარგვას, ხევსურული ტალავრის წარმოებას, ტილოს ქსოვის აღდგენას. მალე დაიწყება ძველი ორნამენტით თანამედროვე ტანსაცმლის წარმოება და ახალი ტანსაცმლის ხაზის შექმნა, ხის ნაკეთობების, მჭედლობა და ა.შ. საწარმოს მთავარი ფუნქციაა ხევსურეთში არსებული ეთნო, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, შესწავლა, შენახვა, განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და იქ ჩასული სტუმრების თუ ფართო საზოგადოებისთვის ხევსურეთის, როგორც გამორჩეული კუთხის დამახასიათებელი კულტურის სათანადოდ გაცნობა. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან ადგილობრივი ახალგაზრდები, რომლებიც საწარმოშივე დასაქმდებიან. სამომავლოდ დაიგეგმება შემოქმედებითი ღონისძიებები/ფესტივალები და ა.შ.

სამიზნე ჯგუფებისათვის განკუთვნილი ინვალიდების ეტლების დამამზადებელი ერთადერთი სოციალური საწარმო აშშ განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით შეიქმნა. საწარმო თვეში 80 ეტლს აწარმოებს. მასში 5 ადამიანია დასაქმებული და ხუთივე ეტლის მომხმარებელია. აღსანიშნავია, რომ ეტლები საქართველოში არასო-

დეს იწარმოებოდა. იგი ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა და დიდი რიგები იყო მასზე. ამჟამად, ეტლების წარმოება ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად, საწარმოს შემოსავალიც იზრდება. 2009-2012 წლებში დამზადდა 1500-ზე მეტი აქტიური ტიპის ეტლი, 20-ზე მეტი მობილური პანდუსი, ეტლში სწორად ჯდომისათვის 180-მდე სხვადასხვა ტიპის საკორექციო საშუალება.

მსუბუქი ელექტროეტლი სიახლეს წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. ამერიკაში ანალოგიური ეტლის ღირებულება 12 ათასი დოლარია. საქართველოში აწყობილი ეტლის ღირებულება 4 ათასი ლარია და თავის ანალოგთან შედარებით 3-ჯერ უფრო მსუბუქია. ამასთან თანხაში შედის მომსახურების სრული პაკეტი, რაც გულისხმობს ეტლის ინდივიდუალურ მორგებას.

სოციალურ საწარმოთა 2016 წლის ფორუმზე დაფუძნდა ა(ა)იპ „სოციალურ საწარმოთა ალიანსი", რომლის მისიაა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოქმედი სოციალური საწარმოების მდგრადობას და ახალი სოციალური საწარმოების ინიცირებას. ალიანსი წარმოადგენს სოციალურ საწარმოთა ერთიან პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს წევრების ერთობლივი ინტერესების დაცვას, საზოგადოებაში სექტორის ცნობადობის ზრდას, გამოცდილების გაზიარების და სექტორებს შორის თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების განვითარებას [85].

სოციალურ საწარმოთა ალიანსის მიზნები:

- სოციალური მეწარმოების განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა (მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება და ლობირება);

- სოციალურ საწარმოთა მდგრადობის და ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა (მათ შორის გაყიდვების და პროდუქციის განვითარების);
- წევრ სოციალურ საწარმოთა წარდგენა მესამე პირებთან (მათ შორის სამინისტროებთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან);
- სოციალურ მეწარმეებსა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის ეფექტური დიალოგის ხელშეწყობა;
- სოციალურ საწარმოებს შორის ურთიერთდახმარების ჰორიზონტალური სქემის განვითარება;
- სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების ახალი მექანიზმების ამოქმედება;
- უცხოეთში მოქმედ სოციალურ საწარმოებთან და მათ გაერთიანებებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობა;
- საქველმოქმედო საქმიანობის წარმოება.

ალიანსის წევრები იყოფიან სრულუფლებიან, ასოცირებულ და საპატიო წევრებად.

სრულუფლებიანი წევრი - ორგანიზაცია / საწარმო (იურიდიული პირი), რომელსაც აქვს სოციალური მეწარმეობის სფეროში პროექტების განხორციელების ან სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის, მინიმუმ, ორწლიანი გამოცდილება;

ასოცირებული წევრი - ორგანიზაცია / საწარმო (იურიდიული პირი), რომელსაც აქვს სოციალური მეწარმეობის სფეროში პროექტები განხორციელების ან სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის, სულ მცირე 3 თვიანი გამოცდილება;

საპატიო წევრი - ნებისმიერი ორგანიზაცია / საწარმო (იურიდიული პირი), რომელიც თავისი საქმიანობით მხარს უჭერს საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებას.

ორგანიზაციის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ (მართვის) ორგანოს წარმოადგენს 7 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლის შემადგენლობაც განახლდება 3 წელიწადში ერთხელ.

სოციალურ საწარმოთა ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში სოციალური საწარმო ისარგებლებს შემდეგი შეთავაზებებით:

**პოპულარიზაცია**

- ალიანსის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსდება და სისტემატიურად გავრცელდება ინფორმაცია წევრი სოციალური საწარმოების პროდუქციისა და საქმიანობის შესახებ;
- ალიანსი ხელს შეუწყობს სატელევიზიო, რადიო გადაცემებისა და ბეჭდური მედია საშუალებების გამოყენებით წევრთა საქმიანობის გაშუქებას;
- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ალიანსის მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვებში და სხვადასხვა ღონისძიებებში. ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ალიანსის ვებ-გვერდის, ფეისბუქის და ელ. ფოსტის მეშვეობით. ყოველწლიურ გამოფენა - გაყიდვებში მონაწილეობა შესაძლებელი იქნება გამოფენის თემატიკიდან გამომდინარე წინასწარი შერჩევის საფუძველზე;
- ალიანსი ხელს შეუწყობს მისი წევრების მიერ განხორციელებული ღონისძიებების პოპულარიზაციას ვებგვერდის და სოციალური ქსელების საშუალე-

ბით, რისთვისაც წევრმა ალიანსს წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია;

- ალიანსის წევრებს საშუალება ექნებათ თავიანთ ვებ-გვერდებზე და სოციალურ ქსელებში განათავსონ სპეციალურად შექმნილი ალიანსის ლოგო, რომელიც იქნება დამატებითი ინდიკატორი დაინტერესებული პირებისთვის;
- წევრებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ალიანსის მიერ ორგანიზებულ საპოპულარიზაციო ღონისძიებებსა და კონკურსებში. ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებ-გვერდის, ფეისბუქის და ელ-ფოსტის მეშვეობით.

**განათლება და საკონსულტაციო მომსახურება**

- ალიანსის ორგანიზებით, წევრებს საშუალება ექნებათ დაესწრონ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს, სემინარებს და მასტერკლასებს, რომლებსაც ჩაატარებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

  ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებ-გვერდის, ფეისბუქის და ელ. ფოსტის მეშვეობით;
- ალიანსი კავშირებს დაამყარებს სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრებთან და ინტერესებული წევრების საინტერესო და მათი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან სასწავლო კურსებში უფასოდ ან შეღავათიან ფასად ჩართვის მიზნით;
- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ გახდნენ სოციალური მეწარმეობის თემაზე ალიანსის ან პარტნიორი ორგნიზაციების მიერ ორგანიზებული სასწავლო ვიზიტების მონაწილეები;
- წევრებისთვის ხელმისაწვდომი იქნება საკონსულტაციო მომსახურების მიღება ინდივიდუალური პროექ-

ტის განაცხადის წერისას. კომუნიკაციაში დახმარება შესაძლებელი იქნება წინასწარ შეთანხმებული გეგმით (დრო და სიხშირე);

- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ საკონსულტაციო მომსახურება მიიღონ სოციალური საწარმოს რესურსების მობილიზების გეგმის და სტრატეგიების შემუშავებაში. საკონსულტაციო მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება წინასწარ შეთანხმებული გეგმით (დრო და სიხშირე);
- ალიანსი დაეხმარება წევრებს პოტენციური დონორების მოძიებაში.

**ადვოკატირება და კვლევითი საქმიანობა**

- ალიანსი პერიოდულად ჩაატარებს სოციალური მეწარმეობის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზს და შეიმუშავებს სამომავლო განვითარების სტრატეგიას. კვლევის შედეგად გამოვლენილი სტატისტიკა და შედეგები გამოყენებული იქნება სახელმწიფო სტრუქტურებთან სოციალური მეწარმეების ინტერესების ადვოკატირებისთვის;
- სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ალიანსის მიერ განხორციელდება შესაბამისი ნორმატიული აქტების ლობირება სახელისუფლებო უწყებებთან;

**სექტორებს შორის თანამშრომლობა და პარტნიორობა**

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დასამყარებლად ალიანსი საკუთარ წევრებს დაეხმარება კონტაქტების მოძიებასა და კომუნიკაციის დამყარებაში;
- ყოველწლიურად, ალიანსი ორგანიზებას გაუწევს სოციალურ მეწარმეთა ფორუმს, რომელიც იქნება

კიდევ ერთი პლატფორმა სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობის და ინფორმაციის გაზიარებისთვის და აგრეთვე დაეხმარება მათ დაამყარონ კავშირები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან.ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ალიანსის ვებ-გვერდის, ფეისბუქის და ელ-ფოსტის მეშვეობით;

- წევრებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ როგორც ალიანსის, აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებს. ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ალიანსის ვებ-გვერდის, ფეისბუქის და ელ-ფოსტის მეშვეობით.

სოციალურ საწარმოთა ალიანსი ხელს შეუწყობს სოციალურ საწარმოთა მუშაობის გააქტიურებას და მათ შემდგომ განვითარებას.

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლება და ადამიანების ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობის მიცემაა. ღირსეული ცხოვრება კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა ისწავლოს, იმუშაოს, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე და მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას.

ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზნად ამგვარი შედეგის დასახვა განსაკუთრებული სიმწვავით ჩანს სახელმწიფოს სოციალური პაკეტების შემთხვევაში. საკმარისია თვალი გადავავლოთ უახლესი წლების სახელმწიფო ბიუჯეტს და სოციალური დახმარებების რაოდენობას, რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ბიუჯეტი დატვირთულია ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც მხოლოდ ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებაზეა გათვლილი და საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის იმ მთა-

ვარ მიზანს, რომელიც დასაწყისში აღვნიშნეთ. ასეთ ვალდებულებებად შეიძლება იქნეს განხილული შშმ პირებზე გაცემული სოციალური დახმარებებიც.

თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ერთ სულზე დარიგებული შემწეობები, ისედაც მცირეა, ეს ხარჯი არაა გათვლილი მოკლე ან ხანგრძლივვადიან შედეგზე. საბიუჯეტო სოციალურ დახმარებებს არა აქვთ საინვესტიციო ხასიათი, რომელიც საბოლოო ჯამში, მთლიანად საზოგადოებას და მათ შორის შშმ პირებს ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება ამ და ნებისმიერ სხვა სფეროში უნდა ეფუძნებოდეს სწორ და ყოვლისმომცველ მონაცემთა ბაზის არსებობას. როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, შშმ პირთა მონაცემებთან დაკავშირებით სერიოზული ხარვეზები არსებობს. როგორც კვლევამ აჩვენა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები არ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას მთელი საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფო შშმ პირთა ოდენობას აღრიცხავს სოციალური პაკეტის პირთა რაოდენობის მიხედვით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შშმ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასახავს.

ამ მონაცემების მიხედვით 2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი (საქართველოს მოსახლეობის 3%). სოციალური პაკეტის ბენეფიციარობა ნიშნავს

იმას, რომ მის მიმღებს არ გააჩნია არსებობის სხვა წყარო და აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს მისი დაბალი სოციალური მდგომარეობის შეფასების დროს.

შემწეობის რაოდენობა, რომელიც გაიცემა, თვიურად 100 ლარს შეადგენს, რაც წლიურად დაახლოებით 140 მლნ ლარს უტოლდება. თავის მხრივ ერთ ადამიანზე გათლილი ეს შემწეობა ძალიან ცოტაა და მას არ შეუძლია მოთხოვნის სტიმულირება შედარებით ხარისხიან და შრომატევად საქონელზე, რომელიც ადგილობრივ წარმოებას წაახალისებდა, მეორეს მხრივ, მთლიანი მაჩვენებელი იმდენად დიდია (მშპ-ს 1.5%), რომ აუცილებლად უნდა დადგეს მისი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების საკითხი.

სამწუხაროდ, ასეთ კვლევას ხელს უშლის სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა. IDFI-ის მიერ გამოთხოვილი იყო ინფორმაცია შშმ პირთა შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიების შესახებ, რომელიც ვერ იქნა მიღებული ვერც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ვერც სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურის მხრიდან.

ამგვარად, სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და გარკვეულ ეკონომიკურ მოლოდინებზე საუბარი სრული სტატისტიკური მონაცემების გარეშე წარმოუდგენელია. თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის კი, რომლის საბოლოო მიზანი შშმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაცია და მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაძლებლობების მიცემა იქნებოდა, აუცილებელია პასუხი გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა შშმ პირთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, შესაძლებლობების მიხედვით მათი დახასიათება, დემოგრაფიული მონაცემები, დასაქმება, განათლებისა და კვალიფიკაციის დონე და ა.შ.

მხოლოდ ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი გადავიდეთ არსებული პოლიტიკის შეფასების ეტაპზე და შევქმნათ საბიუჯეტო ხარჯის ალტერნატიული მოდელები, რომლებშიც სოციალური დახმარებები მიიღებდა საინვესტიციო ხასიათს და მოახდენდა მომავალი შედეგების პროგნოზირებას.

